ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 31 მაისი 2007 №122 (3045) ფასი 50 თეთრი




## ტოპმიოლერმა ოფლისღვრა დღეიდან ბრძანა

# კახა კალაძე: რა დროს მილანია!



გუშინ ფრანკფურტში საქართველოს ნაკრებს ლიტვა-საფრანგეთთან მატჩებისთვის მოსამზადებლად მეორე savarjiშო დღე ჰქონდა.

კლაუს ტოპმიოლერს არც ამჯერად დაუღვრევინებია ფეხბურთელებისთვის ცხრაპირი ოფლი. ნახევარ მოედანზე თამაში და კარში დარტყმები — ნაკრები ამით შემოიფარგლა, დღეს კი იმავ ფრანკფურტში უფრო დატვირთული ვარჯიში იქნება.

ტოპის ყველა ფეხბურთელი მწყობრში ჰყავს, მიკროტრავმასაც არავინ უჩივის.

ნაკრები ხვალ ფრანკფურტიდან კაუნასში ჩარტერული რეისით გაფრინდება, სასტუმრო „კაუნასში“ დაბინავდება და საღამოს, იქაური დროით 20 საათზე ივარჯიშებს, როგორც მატჩის წინა დღეს ხდება ხოლმე...

გუშინ საქართველოს ნაკრების კაპიტან კახა კალაძეს გავესაუბრეთ.

— ყველაფერი კარგადაა, მთელი გუნდი უკვე შეკრებაზე ვართ და მომავალი მატჩებისთვის ვემზადებით. ბიჭებს ვატყობ, რომ კარგ განწყობაზე არიან და 2 ივნისს ლიტვასთან მოგების გარდა სხვა შედეგის გაგონებაც არ სურთ. მოკლედ, ვემზადებით და კაუნასში მოგების იმედით მივდივართ.

— თავად კი იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში დაშავდი...

— სერიოზული არაფერია. ერთ ეპიზოდში მეტოქემ ფეხი ჩამარტყა და მუხლი შემიშუპდა. თავიდან მეც სერიოზული ტრავმა მეგონა, მაგრამ ექიმების თქმით, სანერვიულო არაფერია. ერთი დღე დავისვენე და უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ.

— ჩემპიონთა ლიგის ფინალის მერე გვითხარი, გამორიცხული არ არის, „მილანიდან“ წავიდეო. ეს ამბავი მოგვიანებით ყველა საინფორმაციო საშუალებამ გაავრცელა, თუმცა ბოლოს ისიც ითქვა, რომ შენ და „მილანის“ ხელმძღვანელობა ყველაფერზე მორიგდით...

— კონკრეტულს ჯერ ვერაფერს გეტყვით, დღესდღეობით მხოლოდ სანაკრებო მატჩებზე ვფიქრობ და ამ საკითხზეც მერე ვილაპარაკოთ.

**კობა ინასარიძე**



**კაკა პროგრამაშია**

რეალი ლაპარაკობს და აჩვენებს: 60 000 000 ევრო!

4



**გიგზმა ნაკრებს ხელი დაუქნია**

5



**ჰარგრივსმა მანჩესტერი გაიარა**

7



**ბაიერნის ტონი დამტკიცებულია**

ჯერ მედიცინა, მერე ფეხბურთი

8



# ოლიმპი შორს აღარ წასულა: აგერ არ არის ვარლამი?!

**გადაწყვეტილი** ამბავია: საქართველოს წლევანდელ ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპს“ ჩემპიონთა ლიგაზე ვარლამ კილასონია უთავკაცებს. იგი აქამდე რუსთაველთა აწ უკვე მწვრთნელყოფილის რევაზ ძოძუაშვილის თანაშემწე იყო.

„ოლიმპის“ უფროსობამ სეზონის ბოლოს ძოძუაშვილთან კონტრაქტის გაგრძელება აღარ ისურვა და შემცვლელის საძებრად შორს აღარ წასულა. როგორც ვთქვით, ვარლამ კილასონია მეორედან მთავარ მწვრთნელად დაწინაურდა.

„ჩემი მთავარ მწვრთნელად დანიშვნა ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ახლა კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. რა თქმა უნდა, გუნდში რაღაც საკადრო ცვლილებებიც იქნება, მაგრამ ამ ეტაპზე დაკონკრეტებისგან თავს შევიკავებ. ჯერჯერობით კონტრაქტი არ გამიფორმებია, თუმცა ეს სამიოთხი დღის საქმეა. ისე კი, მთავარ მწვრთნელად ორი-სამი თვით არ მოვსულვარ. იმედია, უფრო დიდი ხნით ვუთავკაცებ გუნდს“ — გვითხრა „ოლიმპის“ ახალმა თავკაცმა ვარლამ კილასონიამ, გუშინ რომ შევეხმიანეთ.

ჩვენი ინფორმაციით, ვარლამ კილასონიას თანაშემწეობას შოთა ჭეიშვილს სთავაზობენ, რომელიც ბოლო წლებში აქტიურად აღარ მონაწილეობდა სამწვრთნელო საქმიანობაში. ჭეიშვილი 90-იანი წლების შუა ხანებში ბათუმის „დინამოში“ მუშაობდა და რამდენიმე დასამახსოვრებელ ევრომატჩშიც უთავკაცა ზღვისპირელებს. გეხსომებათ, მაშინ ბათუმელები ევროგრანდებს, პსვ-სა და „სელტიკს“ ღირსეულად ეთამაშნენ. ჭეიშვილი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც წვრთნიდა. მის „ოლიმპში“ მისვლაზე კილასონიამ ეს გვითხრა: „ვადასტურებ, რომ შოთა ჭეიშვილთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. მასთან ერთად თანაშემწის კიდევ სამი კანდიდატურა განიხილება, ოღონდ მათივე თხოვნით მათ ვინაობას ვერ გავამხელ. ყველაფერი სამ-ოთხ დღეში გადაწყდება.“

**ბაჩო სვანიძე**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

ჩვენი მეტოქე

# ლიუბინსკასმა ჩვენი ნახევარდაცვა გამოიჭირა

**გუშინ**, საქართველოს ნაკრების მსგავსად, მეორედ ივარჯიშეს ლიტველებმა, რომლებიც ვილნიუსის „ჟალგირისის“ სტადიონზე ემზადებიან 2 ივნისის მატჩისთვის. გუნდს ტომას ჟვირგჟდაუსკასი და ტომას რაძინევიჩუსი კი შეუერთდნენ, მაგრამ ბალტიელებმა სრულად მაინც ვერ მოიყარეს თავი — ფეხის ტკივილის გამო ინდივიდუალურად ივარჯიშა ლიტველთა კაპიტანმა ტომას დანილევიჩუსმა. მისი ჯანზე ყოფნა-არყოფნის ამბავი წუხელ უნდა გარკვეულიყო.

ვარჯიშის შემდეგ ლიტველთა მწვრთნელი ალგიმანტას ლიუბინსკასი ჟურნალისტებს ესაუბრა:

— დანილევიჩუსმა უკრაინელების წინააღმდეგ ტკივილგამაყუჩებლებით ითამაშა, იმედია, მას ამჯერად ასეთი რამ არ დასჭირდება.

— ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქართველებთან შეხვედრაში ჩვენი ფეხბურთელები ყვითლებს ერიდონ, რადგან რამდენიმე მათგანს ერთი ბარათი უკვე მიღებული აქვს, სამიოდ დღეში კი გაცილებით რთული მატჩი გველის იტალიასთან.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გამოგვიგზავნა ვიდეოჩანაწერები და ახლა მეტოქის თამაშებს ვაანალიზებთ. უეჭველია, უძნელესი თამაში იქნება. ქართველები ძალიან სერიოზულად ემზადებიან გერმანიაში. ვიდეოფირების ნახვისას შევამჩნიეთ, რომ ქართველთა ყველაზე სუსტი წერტილი ნახევარდაცვაა, გაშვებული გოლების უმეტესობა მათ კისერზეა. ეს, რა თქმა უნდა, კლაუს ტოპმიოლერმაც იცის და ნაკლის გამოსწორებას შეეცდება.

— ჩვენი ძლიერი მხარე კი გუნდური თამაში და ბრძოლის ჟინია პირველიდან ბოლო წუთამდე.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საესის ბიჭებს რა ბავშვი შეემატათ



**5 ივნისს** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ მატჩში ესპანელ თანატოლებს უმასპინძლებს.

ესპანელები თბილისს 3 ივნისს ეწვევიან და თამაშამდე ორჯერ ივარჯიშებენ: იმავე დღეს „მიხეილ მესხზე“, ხოლო მატჩის წინა დღეს „ეროვნულზე“.

ინაკი საესის გუნდი თბილისს ასეთი შემადგენლობით ეწვევა:

***მეკარეები:*** *ანტონიო ადანვარიდო (რეალი), რობერტო ხიმენეს გავო (ატლეტიკო);*

***მცველები:*** *მიგელ ტორეს გომესი (რეალი), ხერარდ პიკე ბერნაბეუ (სარაგოსა), მარკ ტორეხონ მოია (ესპანიოლი), იგნასიო მონრეალ ერასო (ოსასუნა), ხოსე ენრიკე სანჩეს დიასი (ვილიარეალი);*

***ნახევარმცველები:*** *რაულ გარსია ესკუდერო (ოსასუნა), მიგელ პალიარდო გონსალესი (ვალენსია), ხავიერ მარტინეს აგინაგა (ბილბაო), სესარ არსო ამპოსტა (უელვა), სისინიო გონსალეს მარტინესი (ვალიადოლიდი), მარკოს გარსია მარენო (ვილეარეალი);*

***თავდამსხმელები:*** *ხოსე ხურადო მარტინი (ატლეტიკო), ბოიან კრკიჩი (ბარსელონა), ალესანდრო ალფარო ლიგუერო (სევილია), ფრანსისკო ხიმენეს ტეხადა ხისკო (ვესინდარიო), პედრო ლეონ სანჩეს ხოლი (მურსია).*

მოულოდნელი იყო 21-წლამდელთა ნაკრებში 16 წლის ბოიან კრკიჩის გამოძახება, რომელმაც ერთი თვის წინ 17-წლამდელთა ნაკრებში ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიგო. კრკიჩი ამ ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელი და 5 ბურთით საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ეტყობა, ამან გადააწყვეტინა საესს ასაკით უფროსთა გუნდში მისი მიწვევა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# სეგრტი ჯერაც არჩევანშია

**5 ივნისის** ახალგაზრდული საქართველო — ესპანეთისთვის ჩვენების მწვრთნელ პეტარ სეგრტს საგანაცხადო შემადგენლობა ჯერ არ დაუსახელებია.

კანდიდატი 40-მდე ფეხბურთელია და ხორვატიც ამათში შეარჩევს თვრამეტეულს, მატჩის წინა დღეს კი, 15 საათზე პრესკონფერენციას გამართავს ფეხბურთის ფედერაციაში.

ეს მართლაც საინტერესო მატჩი „ეროვნულზე“ 20 საათზე დაიწყება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



# ლევან კორღალიძეს ოლიმპი არ სმენია

## აღმართი მინდვრით იწყება

**ბოლნისის** „სიონთან“ ბევრ ფეხბურთელს დაუმთავრდა კონტრაქტი და ერთ-ერთი მათგანი 26 წლის ლევან კორღალიძეა, რომელიც უკვე წასულია გუნდიდან და ისევ უცხოეთში აპირებს კარიერის გაგრძელებას. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ნათამაშევმა ნახევარმცველმა „სიონში“ მაინცდამაინც ვერ გაილაღა, თუმც იმდენი გამოცდილება და კლასი კი აქვს, სხვებზე უარესად რომ არ წარმოჩენილიყო.

„მძიმე ტრავმის შემდეგ თამაში ვერ ამეწყო, ოთხი-ხუთი წლის წინანდელ ფორმამდე საკმაოდ მიკლია, მაგრამ ისეთ ასაკშიც არ ვარ, რომ დაკარგული ვერ დავიბრუნო“.

„სიონისთვის“ ევროტურნირზე მოხვედრის ერთადერთი გზა საქართველოს თასზე გადიოდა, სადაც ბოლნისელები ნახევარფინალამდე მივიდნენ და „ამერთან“ სტუმრად წაგებული 0:3 კინაღამ წალმა შემოატრიალეს.

„ვინც „ამერთან“ მეორე მატჩი ნახა, ყველა დამერწმუნება, რომ არ გაგვიმართლა. თამაში დამატებით დროში გადავიყვანეთ, მერე კი...“

კორღალიძემ გვითხრა, ჩემი კონტრაქტის თანახმად, „სიონი“ თუ უეფას თასზე გავიდოდა, საკვალიფიკაციო ეტაპზე ან ეტაპებზე უნდა მეთამაშა და მერე შემეძლო წასვლაო.

„ახლა კონკრეტული წინადადება არ მაქვს, დაახლოებით ორ-სამ კვირაში უნდა გაირკვეს ჩემი ახალი კლუბი. ისევ უცხოეთში მინდა თამაში, რაღაც ვარიანტებიც შეიძლება გამოჩნდეს, თუ არა და, რომელიმე ქართულ კლუბში გადავალ“.

იყო ლაპარაკი, კორღალიძე რუსთავის „ოლიმპში“ მოეწყობაო, თუმც ლევანმა, „ოლიმპის“ ვარიანტი პირველად მესმისო.

ეროვნული ნაკრების ყოფილ ნახევარმცველს რვა სეზონი გაუტარებია რიგის „სკონტოში“ და გუნდის ლიდერიც გახლდათ. რაც შეეხება ლატვიისა და საქართველოს ჩემპიონატების შედარებას, კორღალიძე პირველ რიგში მინდვრებზე ამახვილებს ყურადღებას.

„სანამ ასეთი უხარისხო მინდვრები გვექნება, შედარება გამიჭირდება. ჩემი აზრით, ჩემპიონატის წინსვლა სწორედ გაზონების მოწესრიგებით უნდა დაიწყოს. ისე კი, ლატვიურ ფეხბურთს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ქართველებთან ნიჭით ახლოსაც ვერ მოვლენ. აქ ყოველთვის იყვნენ და იქნებიან ტალანტები“.

**ილია ნანობაშვილი**

### შვეიცარია
გადასასვლელი პლეი ოფი

ბელინცონა 1:2 აარაუ

### ხორვატია
გადასასვლელი პლეი ოფი

პულა 2:3 ზადარი

### სლოვაკეთი
პირველი ლიგა

პლეი ოფი. XIV ტური

კოშიცე 3:0 ნიტრა

პეტრჟალკა 3:1 ბანსკა ბისტრიცა

სლოვანი 4:1 სენეცი

ჟილინა 4:0 რუჟომბეროკი

### პოლონეთი
ლიგის თასის 1/4 ფინალი

საპასუხო მატჩი

კორონა 1:3 *ბელხატოვი* (0:1)

### ამხანაგური მატჩი
ავსტრია 0:1 შოტლანდია

საფეხბურთო კლუბ „დინამო“ თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას „დინამოს“ გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები აწარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს. მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონით ნომერზე 53 20 76

*ს.კ. „დინამო“ თბილისის ბავშვთა აკადემია*

იყიდება

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.

ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94

# კაცი, რომელმაც იცის: ღირსება ძალაა

## ზურაბ ქვაჩახიას ნატვრები და შეგრძნებები

26 მაისის თასის ფინალიდან ოთხი დღე გავიდა და თითქოს ეს დრო საკმარისი უნდა იყოს ემოციების ჩასაცხრობად, მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ზურაბ ქვაჩახიასთან საუბრიდანაც შეიტყობთ. საყოველთაო აზრით, ფინალური მატჩის გმირი სწორედ ქვაჩახიაა — თბილისის „ამერის" მეკარემ ზესტაფონელებს რამდენჯერმე ისეთი ბურთი აუღო, იმერლებს თავზე ხელები ხომ წაავლებინა, ქომაგებმა და სპეციალისტებმა კი ქება არ დაიშურეს...





— ძნელია იმის გადმოცემა, რასაც ახლა განვიცდი. ოთხი დღე კი გავიდა ფინალიდან, მაგრამ სიხარული ჯერაც არ გამნელებია — ზედიზედ მეორე წელია, საქართველოს თასის ფინალს ვთამაშობ და ვიგებ, თან „ზესტაფონს" მეორედ ვამარცხებ. თავისთავად ყოველი თამაშის წინ დამუხტული ვარ და მხოლოდ მოგებაზე ვფიქრობ, მაგრამ ჩემთვის „ზესტაფონთან" მატჩი ერთგვარად გამორჩეულიცაა. ცხოვრებაში არის რაღაც ისეთი, რასაც ვერასოდეს დაივიწყებ.

— ესე იგი, თავიდანვე გჯეროდა, რომ მოიგებდით...

— მჯეროდა კი არა, დარწმუნებული ვიყავი. წინა ფინალთან შედარებით, აჟიოტაჟი და ინტრიგა მეტი იყო. მეც რაღა მინდოდა?! მოკლედ, ძალიან გახარებული ვარ.

— შარშანდელი ფინალი პენალტებით მოიგეთ, წლეულს კი „ზესტაფონი" ძირითად დროშივე დაამარცხეთ. რომელი უფრო რთული იყო?

— წლევანდელი. კი, ბატონო, შარშან პირველად მოვიგეთ თასი, საკმაოდ დრამატული ფინალიც იყო და პირველს მაინც სულ სხვა ემოცია და გრძნობა ახლავს, მაგრამ, როცა ზედიზედ მეორე ფინალს თასის მფლობელის რანგში თამაშობ, სულ სხვა დატვირთვა ჰქონია, რაღაცით დაძაბულიც კი ვიყავი ანუ, რომ ამბობენ, თასის მოგება უფრო ძნელია, ვიდრე მისი შენარჩუნებაო, სავსებით ვეთანხმები.

— ზესტაფონელ გიორგი ჭელიძეს რომ თავიდანვე აულე ურთულესი ბურთი, ალბათ ამან უფრო შეგმატა თავდაჯერება...

— რა თქმა უნდა, ასეა. თავიდანვე როგორ წაგივა თამაში, ამას მეკარისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ვიცოდით, რომ „ზესტაფონი" დასაწყისშივე მაგრად შემოგვიტევდა და ჩვენც ამისთვის მზად უნდა ვყოფილიყავით. ჰოდა, ასეც მოხდა, საბედნიეროდ, გავუძელით მათ წნეხს და მერე იქით გადავედით შეტევაზე.

— ბევრის აზრით, ზედიზედ მეორე წელია, ფინალის საუკეთესო მოთამაშე ხარ...

— ვერ ვიტყვი, რომ შარშან ან წლეულს მე ვიყავი საუკეთესო, თასი „ამერმა" მოიგო და არა მხოლოდ ერთმა კაცმა. ბედნიერი კი იმით ვარ, რომ ჩემი წვლილი შევიტანე ამ წარმატებაში. საერთოდ, როცა თამაშზე გადიხარ, საერთოდ არ ფიქრობ იმაზე, რომ საუკეთესო გახდე. ჩემი საქმეც ესაა: მაქსიმალური კონცენტრაცია და ბოლომდე დახარჯვა. ზემოთაც ვთქვი, მეკარისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს თამაში როგორ წაუვა-მეთქი. რატომღაც მჯეროდა, ვიცოდი, რომ ყველაფერი გამომივიდოდა და მადლობა უფალს, რომ სულიერი სიმტკიცე შემინარჩუნა.

— მაღა ჭამაში მოდიხო და, საქართველოს თასის ორგზის მფლობელი ხარ, სუპერთასი მოგებული გაქვს. ლოგიკურად, ახლა ჩემპიონობის ჯერია...

— ასეა და ამისთვის აქედანვე ვემზადები. მეტის დაუფლების შეგრძნება ადამიანს მუდმივად აქვს და, ცხადია, გამონაკლისი არც მე ვარ. „ამერი" ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად მიიწევს დასახული მიზნისკენ და დარწმუნებული ვარ, შორს არც ეს დღეა: შარშან ჩემპიონატში მეშვიდე ადგილი დავიკავეთ და თასი ავიღეთ, წლეულს მესამე და ისევ თასი. არ მესმის, დუბლზე რატომ არ უნდა ვიფიქროთ?! კლუბის ხელმძღვანელთა პოლიტიკაც ესაა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად გაკეთდეს საკეთებელი, გუნდი თავის კურსს არ გადაუხვევს. ჩვენ, ფეხბურთელებს კი მაქსიმალური შედეგის მიღწევა გვევალება — „ამერის" ძალა ხომ მის ღირსებაშია!

**გიორგი მაჭაკიძე**

რუსთავის „ოლიმპმა" საქართველოს ჩემპიონობა მეტწილად ახალგაზრდა ფეხბურთელებით მოიპოვა, რომელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ვლადიმერ დვალიშვილი გახლდათ. 21 წლის ფორვარდმა რვა გოლი მიითვალა და ალბათ მეტსაც გაიტანდა, ბოლო რამდენიმე ტური ტრავმის გამო რომ არ გამოეტოვებინა. დვალიშვილი „ოლიმპში" თბილისის „დინამოდან" გადავიდა და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებშიც მოიკიდა ფეხი. ლადოს ჯერ ტრავმაზე ვკითხეთ...

# ვლადიმერ დვალიშვილი: ოლიმპმა ჩემპიონობა მეგობრობით დაიმსახურა

— საზარდული მტკიოდა და გადამწყვეტ მატჩებში გუნდს ვერ დავეხმარე, თუმც ახლა ჯანზე ვარ და ვვარჯიშობ.

— „დინამოსთან" საჩემპიონო მატჩში შეცვლაზე შესული ისევ გამოგცვალეს. მაშინ „ოლიმპის" მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა გვითხრა, დვალიშვილს ძალიან უნდოდა თამაში და, ასე ვთქვათ, შეცდომაში შეგვიყვანა, არ იყო მზადო...

— დიახ, ერთი სული მქონდა, როდის შევხვდებოდით „დინამოს", მაგრამ ნემსებით ვითამაშე და სახეირო ვერაფერი გავაკეთე.

— „ოლიმპის" ჩემპიონობაც დიდწილად „დინამოსთან" ფრის მერე გადაწყდა...

— „დინამოს" რომ ემარჯვა, დარწმუნებული ვარ, შანსი აღარ გვექნებოდა, თუმც, თუ მოგებაა, ჩვენ უფრო უნდა მოგვეგო — თორნიკე აფციაურს რომ უეჭველი გასატანი გაეტანა, ჩემპიონობის საქმე მაშინვე გადაწყდებოდა.

— და რა იყო მთავარი, რითაც „ოლიმპმა" ჩემპიონობა მოიპოვა?

— პირველ რიგში მეგობრულობა და გუნდური სული. ნორმალური შეკრება არ გაგვივლია და „დინამოზე", „ამერზე" თუ „ზესტაფონზე" უკეთესი პირობები არ გვქონია. კარგი მწვრთნელები გვყავდა, გიორგი კიკნაძემაც და რევაზ ძოძუაშვილმაც მშვენივრად იმუშავეს.

— კიკნაძის ხელშიც ლიდერები იყავით. მეორე წრეში რა შეიცვალა რევაზ ძოძუაშვილის მოსვლით?

— ამ ორი მწვრთნელის შედარება ძნელია, მთავარი განსხვავება კი ისაა, რომ ძოძუაშვილი გამოცდილი იყო, კიკნაძე კი გამოუცდელი, თუმც გიორგისაც უთამაშია მაღალი რანგის ფეხბურთი და „ოლიმპსაც" ლამაზად ათამაშებდა. კიკნაძესა და ძოძუაშვილს განსხვავებული ტაქტიკა ჰქონდათ, შედეგი კი ორივეს ჰქონდა.

— „დინამოში" უფრო გამოკვეთილ თავდამსხმელად თამაშობდი, ვიდრე „ოლიმპში"...

— „ოლიმპში" მთელი სეზონი ინსაიდად ჩავატარე. ჩვენი გუნდი თანამედროვე, სამფორვარდიანი სქემით თამაშობდა, რომელთაგან ორნი უკანდაწეულნი ვიყავით და ზონის გადაკეტვა გვიწევდა.

— ეტყობა, უფრო წინ გირჩევნია...

— რასაც მწვრთნელი დაგავალებს, ის უნდა შეასრულო, თუმც გამოკვეთილ თავდამსხმელად მირჩევნია თამაში.

— ამ შემადგენლობით „ოლიმპს" ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე რისი მიღწევა შეუძლია?

— ვფიქრობ, ამ შემადგენლობით პირველ ეტაპს გადავლახავდით, მეორეზე კი რა გითხრათ, კენჭისყრაზე ბევრია დამოკიდებული. მთავარია, კარგი პირობები გვქონდეს, რაც თანამედროვე ფეხბურთში გადამწყვეტი ფაქტორია.

— ჯერ არ იცით, სად წახვალთ შეკრებაზე?

— არა. 10 ივნისს მზადებას დავიწყებთ, შეკრებაზე კი 20-ში გადავალთ.

— ახალგაზრდული ნაკრების წევრიც ხარ. 5 ივნისს ესპანეთთან მატჩისთვის გამოგიძახეს?

— დიახ. ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელები ახლაც ვვარჯიშობთ, 1 ივნისიდან კი ინტენსიურ მზადებაზე გადავალთ.

**ილია ნანობაშვილი**



# ზესტაფონი ყაზახებს სკამებს უმზადებს

**როგორ** გამწარდებოდა „ზესტაფონი" საქართველოს თასის ფინალში ზედიზედ სამი მარცხით, თქმაც არ უნდა. ბევრმა ისიც თქვა, იმერული კლუბი ამბიციური აღარ იქნება, ფეხბურთელები შემოეცლებიანო, ზოგმა სულაც „ზესტაფონის" დაშლა ახსენა, თუმც ეს მხოლოდ აშკარა ჭორია...

იმერლები რამდენიმე დღე დაისვენებენ და სხვა ქართულ კლუბებზე ადრე დაიწყებენ მზადებას, მიზეზი კი ინტერტოტოს თასია: „ზესტაფონს" 23 ივნისს ყაზახურ „ტობოლთან" სტუმრობა ელის.

ფეროელთა პრესატაშე სერგო ფუტკარაძემ გვითხრა, ჩვენ და „ტობოლმა" თამაშების ვიდეოფირები გავცვალეთ და მატჩის საორგანიზაციო საკითხებზე ვილაპარაკეთო.

„არაა გამორიცხული, „ტობოლს" საპასუხო მატჩში ზესტაფონში ვუმასპინძლოთ. საამისოდ ინდივიდუალური სკამების დამონტაჟება დაგვჭირდება. სტადიონი უეფას კომისიამაც უნდა შეამოწმოს. თუ ეს ვარიანტი არ გამოვიდა, ყაზახებს თბილისის „მიხეილ მესხზე" ვეთამაშებით".

ერთადერთი ფეხბურთელი, რომელსაც „ზესტაფონთან" ამ სეზონის ბოლომდე ჰქონდა კონტრაქტი, ბრაზილიელი ლეანდრო ტემპორანია და კლუბი მალე გაარკვევს მისი წასვლა-დარჩენის საკითხს.

ფუტკარაძემ გვითხრა, „ზესტაფონიდან" ფეხბურთელთა მასობრივი წასვლა არ მოხდება და, სავარაუდოდ, ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი მომავალ სეზონშიც ჩვენთან იქნებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა




# კაკა პროგრამაშია

## რეალი ლაპარაკობს და აჩვენებს: 60 000 000 ევრო!

**მადრიდის** „რეალი" კვლავინდებურად კაკაზე ფიქრობს. სამეფო გუნდის პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა საარჩევნო ბატალიები დიდი ხანია, მოიგო, თუმცა ამომრჩევლებისადმი დანაპირებს არ ივიწყებს და „მილანთან" მოლაპარაკებას პირადად ხელმძღვანელობს — ზაფხულში კაკას „რეალში" გადასვლა შეიძლება მთავარი სატრანსფერო აფეთქება იყოს, აცხადებს მადრიდული „ასი".

ამ გაზეთის ცნობით, მოლაპარაკება თებერვალში დაიწყო (ორი დღის წინ „რეალის" სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი მილანში გახლდათ) და იტალიელებს და ესპანელებს საერთო ენის გამონახვა არ გასჭირვებიათ. კაკამ კი „რეალს" განუცხადა: „მილანთან" დაპირისპირება არ მინდა, მაგრამ თუ ჩემს ახლანდელ კლუბთან შეთანხმებას მიაღწევთ, სიამოვნებით წამოვალ მადრიდში".

სატრანსფერო თანხაზე კი მადრიდელები წუწუნს არ დაიწყებენ — „რეალს" სატელევიზიო კონტრაქტებით ბოლომდე ფული შესდის და სამეფო თეთრებიც მზად არიან, კაკაში 60 მილიონი ევრო გაიმეტონ. ზუსტად ეს თანხა დასჭირდა „რეალს" რამდენიმე წლის წინ ფიგუს „ბარსელონადან" შესაძენად.

თუმცა არსებობს ფასდაკლების ვარიანტებიც. საქმე ისაა, რომ „მილანის" მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ემერსონის ყიდვა უნდა.

„ემერსონი სწორედ ისეთი ფეხბურთელია, როგორიც გვჭირდება" — აცხადებს ანჩელოტი.

არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ანჩელოტი ერთი წლის წინ „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის ფაბიო კანავაროს ყიდვასაც სთხოვდა. „როსონერის" რობინიოს შეძენაც სურს, ოღონდ „რეალს" უნდა, რობინიომ ზემოხსენებულ პროექტში შეასრულოს დიდი როლი.

კალდერონის გუნდი საპრეზიდენტო არჩევნებისას კაკას გადაბირებას ფრიად ცდილობდა, თუმცა მაშინ „მილანის" ვარსკვლავმა „სან სიროს" დატოვებაზე უარი განაცხადა.

„გვითხრეს, რომ „მილანის" მიერ ჩემპიონთა ლიგის მოგება კაკას სამუდამოდ ამ გუნდში დარჩენას არ ნიშნავს. ბრაზილიელი იტალიურ გრანდს თავაწეული დატოვებს, რადგან იქ უკვე ყველა ჯილდო მოიპოვა" — უთხრა „ასს" „რეალის" დირექტორატის ერთ-ერთმა წევრმა.

თავად კაკას კი ესპანელი ჟურნალისტისთვის განუცხადებია: „ჩემი მომავალი სეზონის ბოლომდე არ გაირკვევა. რაც შეეხება „რეალს", მინდა, წლეულს ესპანეთის ჩემპიონობა ამ გუნდმა მოიგოს. „ბერნაბეუზე" თამაში ალბათ საოცარი იქნება".

რაღა დარჩა?

მიატოვიჩი და მისი თანაშემწე ფრანკო ბალდინი ბრაზილიელის აგენტებთან მოლაპარაკებას აწარმოებენ, ხოლო „რეალის" ალბათ მომავალმა მწვრთნელმა ბერნდ შუსტერმა „ასს" უთხრა, რომ კაკა იდეალური ფეხბურთელი იქნება მისთვის...

**ლადო ხომერიკი**

# იტალიაში მურვანიძე რუსია

**რინატ დასაევის** 50-წლიან იუბილესთან დაკავშირებით დაგეგმილი მატჩი, შესაძლოა, არ შედგეს — ამის შესახებ საორგანიზაციო კომიტეტის შეფმა ნიკიტა სიმონიანმა განაცხადა.

მატჩში უნდა ითამაშონ ფეხბურთის ძველმა ვარსკვლავებმა, ლეგენდარული პელე კი „საიუზის" ნაკრების მწვრთნელობაზე დაითანხმესო, მაგრამ...

„თითქოს ყველა პრობლემა გადავწყვიტეთ რუსეთის პრეზიდენტის დონეზე. შესაბამის სტრუქტურებს დაევალათ, რომ სტუმრებისთვის ვიზების გაფორმება გაემარტივებინათ, თუმც ჩინოვნიკები საქმეს აჭიანურებენ და, შესაძლოა, ზეიმი ჩაიშალოს — თქვა სიმონიანმა — მაგალითად, ცნობილმა იტალიელმა ფეხბურთელმა ლუიჯი დე აგოსტინომ დარეკა და გვითხრა, რომ რუსეთის საკონსულო იტალიაში გაურკვეველი მიზეზების გამო ვიზას არ აძლევს. ეტყობა, იქ ჯერაც ვერ შეიგნეს, რა დონის ღონისძიებას ვაწყობთ. არადა, მიშელ პლატინი, ოლეგ ბლოხინი და ვალტერ ძენგა უკვე წინასწარ შევიპირეთ ჩამოსვლაზე. რაც შეეხებათ პელეს და მარადონას, მედიამ იჩქარა, როცა ისინი მოსკოვში ჩამომსვლელთა შორის დაასახელა. მარადონას ექიმები თვითმფრინავით მგზავრობას უკრძალავენ, პელეს კი ივნისში ისეთი საქმეები აქვს, რომლებსაც ვერ გადადებს."

13 ივნისს „მსოფლიო ნაკრებში" საბჭოთა ნაკრების წინააღმდეგ ითამაშებენ: ული შტილიკე, ლეონარდო, აარონ, ვინტერი, ერიკ გერტერი, დე აგოსტინო, ერვინ კუმანი, დი ნაპოლი, კრასიმირ ბალაკოვი და კრისტიან კარამბე.

**გაჟა ხუციშვილი**




# ფიფას ახალი სახლი მწვანეში

**ციურიხში** ფიფას ახალი შტაბ-ბინა გაიხსნა — კომპლექსი ქალაქის მწვანე გარეუბანში ააშენეს.

ცერემონიალს სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციების შეფები დაესწრნენ და ფიფელებს შვეიცარიელმა პოლიტიკოსებმაც დასდეს პატივი.

შენობა 44 ათას კვადრატულ მეტრს მოიცავს და მასში არის სავარჯიშო დარბაზიც. შტაბ-ბინის გვერდით საფეხბურთო მოედანიცაა.

პროექტის ავტორი შვეიცარიელი არქიტექტორი ტილო ტეუსია.

**გაჟა ხუციშვილი**

# კოლოს ძმა და დემეს ძმაკაცი

## ბარსელონა მხეცს ყიდულობს



**„ბარსელონას"** ნახევარდაცვის გასაძლიერებლად „მხეცი" მოდისო, წერს კატალონიური მედია. „მხეცი" იაია ტურე გახლავთ, ფრანგული „მონაკოს" მძლეთამძლე ფეხბურთელი.

ტურე 24 წლისაა, კოტ დივუარის ნაკრების წევრია და გასულ მუნდიალზე „სპილოების" მიერ ჩატარებულ სამივე თამაშში ძირითადში იყო. იგი აფრიკაში და ევროპაშიც ერთ-ერთ პერსპექტიულ საყრდენად ითვლება — სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

კატალონიელები იაია ტურეს უკვე კარგა ხანია, აკვირდებიან და წლეულს ფრანგულ ლიგაში ბრწყინვალედ ჩატარებული სეზონის მერე საბოლოოდ გადაწყვიტეს მისი შეძენა.

„ელ მუნდო დეპორტივოს" ცნობით, შეიძლება, იაიას „ბარსელონაში" გადაბარგება საკმაოდ მალე მოხდეს.

„ჩემი საფეხბურთო იდეალები კლოდ მაკელელე და პატრიკ ვიეირა არიან" — თქვა იაია ტურემ, ვინც არსენალელი კოლო ტურეს ძმაა და თავის დროზე გიორგი დემეტრაძესთან ერთად უთამაშია დონეცკის „მეტალურგში".

„მონაკოს" კოტდივუარელი უფრო ინტერელ ვიეირას წააგავს. ტურეს თანამემამულე დიდიე დროგბაც ეთანხმება იმ აზრს, რომ „იაია ტურე ახალი ვიეირაა".

**ლადო ხომერიკი**

### ვემშვიდობები უელვას

**„უელვას"** მწვრთნელმა მარსელინო გარსია ტორალმა სამშაბათს პრესკონფერენციაზე თქვა, რომ სეზონის ბოლოს გუნდიდან წავა: „ცხოვრებაში ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული. „უელვასთან" გამომშვიდობების დრო მოვიდა."

41 წლის ტორალი, შესაძლოა, „ბეტისის", „ხეტაფეს" ან „ბილბაოს" თავკაცი გახდეს.

### ემერსონს კარლო გაუხარდა

**მადრიდის** „რეალის" ბრაზილიელი ნახევარმცველი ემერსონი „მილანში" შესაძლო გადასვლაზე მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ ილაპარაკებს. ამის შესახებ მისმა აგენტმა ჟილმარ ველოზმა განაცხადა: „გვითხრეს, რომ კარლო ანჩელოტი ემერსონით დაინტერესდა. „მილანის" მწვრთნელი ჩემი კლიენტის კლასში დარწმუნებულია. ფეხბურთელსაც სიამოვნებს, რომ იგი „შავ-წითელთა" სასურველ მოთამაშეთა სიაშია, მაგრამ ტრანსფერზე მხოლოდ სეზონის დამთავრების მერე ვილაპარაკებთ."

ესპანური მედია კი ამტკიცებს, ემერსონი „მილანს" უკვე მოურიგდაო.

### მარცხენამ შეათანხმა

**„ელ მუნდო დეპორტივოს"** ცნობით, ერიკ აბიდალი „ლიონიდან" „ბარსელონაში" გადადის.

საფრანგეთის ნაკრების მარცხენა მცველმა უკვე შეათანხმა პირადი კონტრაქტის პირობები კატალონიურ კლუბთან და ახლა „ბარსა" და „ლიონი" უნდა მორიგდნენ.

ფრანგები აბიდალში 12 მილიონ ევროს ითხოვენ.

### დირექტორი გადაიხარა

**მადრიდის** „რეალი" სევილიელი ანტონიო პუერტათი დაინტერესდა. მადრიდელთა აზრით, 22 წლის მარცხენა მცველი სათანადოდ შეცვლის წამსვლელ რობერტო კარლოსს. მარცხნივ „რეალს" მარსელოც ჰყავს, მაგრამ ახალგაზრდა ბრაზილიელს კარლოსამდე ბევრი უკლია, სევილიელი კი უფრო გამოცდილია.

„რეალს" გაბრიელ ჰაინცეს ყიდვა უნდ და ამ პოზიციაზე, თუმც სპორტული დირექტორი პრედრაგ მიატოვიჩი უფრო პუერტასკენ იხრება.

### რიკელმე დოპინგიანია!

**„მარკას"** ცნობით, პარაგვაული „ლიბერტადი" ხუან რომან რიკელმეს დოპინგის მიღებას აბრალებს. „ლიბერტადმა" რიკელმეს „ბოკა ხუნიორსთან" ლიბერტადორესის თასის მეოთხედფინალში წააგო და ბრალდებაც ამის შემდეგ გაჩნდა. პარაგვაული კლუბის წარმომადგენელმა მანუელ ბურომ განაცხადა, რომ არგენტინელმა ფეხბურთელმა ტრავმირებული მუხლის მალე მოსარჩენად მიიღო წამალი, რომელიც სტეროიდულ ჰორმონებს შეიცავს.

„ლიბერტადი" მატჩის შედეგს არ აპროტესტებს, არც გადათამაშებას ითხოვს და არც „ბოკა ხუნიორსის" დისკვალიფიკაციას.

**გაჟა ხუციშვილი**

# ნუ გაგვისკუდეტოეთ საქმე!



## დელ პიერომ და გატუზომ ინტერი გათათხეს

„მილანი" და „იუვენტუსი" ინტერელებს მოუწოდებენ, კალჩოპოლის სკანდალის გაუთავებლად ხსენებასა და თავის ანგელოზებად მოჩვენებას შეეშვან.

შეგახსენებთ, რომ „ინტერსა" და „მილანს" შორის მორიგი გადაძახილ-გადმოძახილი და „სიტყვიერი ომი" გასულ პარასკევს მომხდარმა ინციდენტმა გამოიწვია. როცა „მილანი" ჩემპიონთა ლიგის მოგებას ზეიმობდა, „როსონერის" ფანებმა ბანერი გამოჰფინეს, რომელზეც ეწერა — „შეგიძლიათ, თქვენი სკუდეტო – გაიკეთოთ!"

ეს ბანერი ცოტა ხანი მასიმო ამბროზინისაც ეჭირა ხელში და მასიმო ოდოსაც. იგი „მილანის" ავტობუსის წინა მხარესაც იყო გაკრული...

მოგვიანებით „როსონერის" წარმომადგენლებმა, მათ შორის, ამბროზინიმაც, ბოდიში მოიხადეს, თუმცა ინტერელები ამან ვერ დააშვიდა.

„ამ ყველაფერმა ძალიან დამღალა. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ვიცით, შევცდით და კარგად არ გამოგვივიდა, რისთვისაც ბოდიშს ვიხდით. თუმც გუნდის სახელით ვამბობ, რომ ამ თემაზე გაუთავებელი ლაპარაკი უკვე აუტანელი ხდება და ამას ველარ შევეგუებით. „ინტერი" ვერ გვასწავლის, როგორ უნდა მოვიქცეთ. როგორც ჩანს, „ნეროაძურის" პრეზიდენტ მასიმო მორატის დაავიწყდა რამდენიმე ჟესტი და ისიც, თუ რა გააკეთეს ინტერელებმა ვალენსიაში. რას გულისხმობდა იგი, როცა თქვა, ჩვენი ფეხბურთელები ამას არ დაივიწყებენო? რას ჰგავს ეს მუქარები? პრეზიდენტი ასეთ რალაცებს არ უნდა ამბობდეს. ჩვენ, ფეხბურთელებიც, ფრთხილად უნდა ვიყოთ და კარგად მოვიქცეთ, ისევე, როგორც ფანები. ვთქვით, შევცდითო და ბოდიში მოვიხადეთ. მეტი რა ვქნათ? ქუჩებში ვიაროთ, ხმამაღლა ვიძახოთ, შეცდომა დავუშვითო და ბოდიშები ვიხადოთ? იტალიაში ხალხს ბევრად უფრო დიდ დანაშაულს ვპატიობთ ხოლმე... ჩემი აზრით, კაპიტნები ერთმანეთს უნდა შეხვდნენ და ამ საკითხს წერტილი დაუსვან" — თქვა „მილანის" ნახევარმცველმა ჯენარო გატუზომ.

ინტერელები და მათი ფანები ხშირად ამბობენ, სკუდეტო სუფთა ბრძოლით, მაქინაციებისა და ჩაწყობების გარეშე მოვიგეთ, რაც ორმაგად დასაფასებელი და სასიამოვნოაო. რინოს ესეც აღიზიანებს და „ნეროაძურის" მცველისა და მეგობრის მარკო მატერაცის ბოლოდროინდელი მორალის კითხვაც.

ჯენარო გატუზო: „მარკოც უნდა გაჩერდეს და მორალის კითხვა შეწყვიტოს. ჩვენ კარგი მეგობრები ვართ, მაგრამ ბოლო პერიოდში მისი განცხადებები გამაღიზიანებელი გახდა. მეჩვენება, რომ იგი იესო ქრისტედ გადაიქცა... ამ „სუფთა" სკუდეტოზე ლაპარაკებიც ძალიან დამღლელია. ბოლო სეზონში ვერც მე და ვერც ჩვენი თანაგუნდელები ვერანაირად ვგრძნობდით, რომ ვინმე გვეხმარებოდა. ჩვენ ვთამაშობდით და ვაღწევდით ისეთ შედეგს, როგორსაც ვიმსახურებდით".

„იუვენტუსის" ბანაკიდან კი ამ ამბებს ტურინელთა კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო გამოეხმაურა: „ჩაწყობებზე ლაპარაკი უკვე ძალიან ზედმეტი და გამაღიზიანებელია. ინტერელები აბუქებენ ვითარებას და უპატივცემულობას იჩენენ ჩვენდამი და სერია A-ს სხვა გუნდებისადმი. „ნეროაძური" მშვენიერი გუნდია, რომელმაც კარგად ითამაშა და სკუდეტო მოიგო. თუმცა სხვადასხვა ფაქტორებმა მილანელებს ძალიან გაუიოლა ეს. ვნახოთ, რას იზამენ ისინი მომავალ სეზონებში".

**გიორგი ძაძამაძე**

## რივალდო დიდიდან დიდში




**ათენის** აეკ-მა პირეოსის „ოლიმპიაკოსიდან" წასული რივალდო გადაიბირა და ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ბრაზილიელი წელიწადში მილიონ 300 ათას ევროს მიიღებს, რაც 600 ათასით ნაკლებია ოლიმპიაკოსურ ხელფასზე.

35 წლის რივალდომ პირეოსულ კლუბში სამი სეზონი გაატარა, მაგრამ ახალ კონტრაქტზე ვერ მოურიგდა და აიბარგა. „ოლიმპიაკოსი" მას ოთხწლიან გარიგებას და ჯამაგირის განახევრებას სთავაზობდა, რივალდომ კი იუარა.

აეკ-ი მეორე ადგილზე გავიდა და ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ითამაშებს. თუ გუნდი ჩემპიონთა ლიგაში მოხვდება, ან საბერძნეთის ჩემპიონი გახდება, ბრაზილიელი პრემიასაც ჩაიჯიბავს და წელიწადში ორ მილიონამდე გამოუვა.

„ერთი დიდი კლუბიდან მეორე დიდში გადავედი — თქვა რივალდომ — რაკი აეკ-ი ათენისაა, ამიტომაც დავყაბულდი კონტრაქტს. ჩემი ოჯახი აქ ბედნიერია. ვპირდები ყველას, რომ გამარჯვებამოწყურებულ რივალდოს ნახავენ".

აეკ-ს საბერძნეთის ჩემპიონატი 1994 წლის შემდეგ არ მოუგია...

**გაგა ხუციშვილი**

## დაეიმ 109-ით დაასრულა



**ირანული** ფეხბურთის თილისმა, ბოლო ათწლეულის საუკეთესო ირანელი ფორვარდი ალი დაეი, რომელიც მსოფლიოს რეკორდსმენია სანაკრებო მატჩებში გატანილი გოლებით, ფეხბურთს დაემშვიდობა. დაეის „საიპამ" ირანის ჩემპიონატი მოიგო და 39 წლის ვეტერანმაც თამაშს თავი დაანება. მან 148 სანაკრებო შეხვედრაში 109 გოლი შეაგდო და ამით თვით პელეს და ცხონებულ ფერენც პუშკაშს გადაასწრო.

**გაგა ხუციშვილი**

## მძიმე და გახარებული ვალტერი

**ვალტერ ნოველინო** გახარებულია იმით, რომ „ტორინო" და „იუვენტუსი" მისით დაინტერესდნენ. „სამპდორიაში" სამწლიანი მუშაობის შემდეგ გათავისუფლებული ნოველინო საქმეს ეძებს.

„თუ ჩემით „იუვენტუსი" დაინტერესდა, ეს ნიშნავს, რომ დიდ კლუბებშიც მიცნობენ. ვფიქრობ, უმაღლესი დონის გუნდებში მწვრთნელობას ვიმსახურებ. მართალია, მძიმე ხასიათი მაქვს, მაგრამ თაღლითობას ვერავინ დამწამებს" — თქვა ნოველინომ.

## ახალმოკრეფილი იები

**„ფიორენტინადან"** მიუნხენის „ბაიერნში" წასულ ლუკა ტონის არტურო ლუპოლი შეცვლის, რომელიც რამდენიმე წლის წინ „არსენალს" ათხოვეს, შემდეგ „დერბიში" იყო და ახლა ისევ „იებს" დაუბრუნდა. „ფიორენტინამ" ასევე დაადასტურა, რომ „კიევოდან" ფრანკო სემიოლი იყიდა 3 მილიონად. სემიოლიმ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და სეზონში ნახევარ მილიონ გირვანქას მიიღებს.

„ფიორენტინას" ატალანტელ ფორვარდ რიკარდო ძამპანას შეძენაც უნდა.

## ლიგამ შვედი გააძვირა

**„ტულუზის"** ფორვარდი იოჰან ელმანდერი, შესაძლოა, „რომაში" აღმოჩნდეს — წერს „ფრანს ფუტბოლი".

მას შემდეგ, რაც „ტულუზმა" ჩემპიონთა ლიგის საგზური მოიპოვა, შვედი ფეხბურთელის ფასი გაიზარდა. რომაელები ფრანგებს ფულს და მირკო ვუჩინიჩს სთავაზობენ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იშვიათად ხვდება.

ელმანდერით დაინტერესებულნი არიან „ბარსელონა", „ტოტენჰემი", „სიტი", „ლიონი" და „ბეტისი".

## დორვალინოს ოცნება

**ახდენილი** ოცნება უწოდა ბრაზილიელმა ლინომ „პორტუში" გადასვლას. 30 წლის მცველმა, რომელმაც კოიმბრას „აკადემიაში" ამ სეზონში 5 გოლი გაიტანა, პორტუგალიურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

„ძალიან მინდოდა დიდ კლუბში თამაში და ოცნება ამიხდა" — თქვა ლინომ, რომლის სრული სახელია დორვალინო ალვეშ მასიელი.

## ზორო ლისაბონშია

**„მესინას"** და კოტ დივუარის ნაკრების მცველი მარკ ზორო „ბენფიკაში" გადავიდა. 23 წლის ფეხბურთელს რასისტული გამოხდომებით ხშირად შეურაცხყოფდნენ იტალიაში და ახლა მშვიდად იქნება.

„ძალიან მინდა, ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშო" — თქვა ზორომ.

„ბენფიკა" მესამე ადგილზე გავიდა და ლიგაში მოსახვედრად საკვალიფიკაციო ეტაპის გავლა მოუწევს.

## ჰუნტელაარმა დაამუხრუჭა

**ამსტერდამის** „აიაქსის" ფორვარდმა კლაას-იან ჰუნტელაარმა გუნდში კიდევ ერთი წლით დარჩენა გადაწყვიტა.

„ჩემთვის უკეთესი იქნება, თუ ერთ სეზონს ისევ ჰოლანდიაში გავატარებ. მსურს, „აიაქსთან" რამე ჯილდო მოვიგო" — განაცხადა ფორვარდმა.

მისი შეძენით „ბარსელონა", „იუვენტუსი", „მანჩესტერი" და „ვალენსია" იყვნენ დაინტერესებულნი.

## დედე აიე

**„მარსელმა"** სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა აბედი პელეს შვილ დედე აიესთან — ეს ამბავი განის ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდმა გაავრცელა. 17 წლის აიე ორი წელი ვარჯიშობდა „მარსელის" აკადემიაში და ახლა მთავარი გუნდის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

შეგახსენებთ, რომ აბედი პელემ „მარსელში" 1993 წელს ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

## დიეგო თუ ჩაიშლება...

**იტალიური** „კორიერე დელო სპორტის" ცნობით, „ინტერის" მეკარე ფრანჩესკო ტოლდო „ლაციოში" გადავა, თუ რომაელებს „ატლეტიკო მანეიროდან" დიეგოს ტრანსფერი ჩაეშლებათ.

იტალიის ნაკრების ყოფილი გოლკიპერი ტოლდო უკვე ორი სეზონია, ჟულიო სეზარმა სათადარიგოდ აქცია და კლუბის გამოცვლას ლამობს. დიეგოსა და ტოლდოს გარდა „ლაციო" უდინეზელ მორგან დე სანქტისზეც ფიქრობს.

შეგახსენებთ, რომ ლაციოელმა ანჯელო პერუცციმ კარიერა დაასრულა.

## ბობოს დაბრუნება

**„ატალანტას"** ფორვარდი კრისტიან ვიერი ეგებ „იუვენტუსში" დაბრუნდეს, სადაც 1996-97 წლებში უთამაშია — წერს „კონტროკამპო".

ბერგამოულ კლუბთან კონტრაქტი „ბობოს" ივნისის ბოლოს ეწურება და თავისუფალი აგენტი გახდება.

ვიერის გადაბირება „ტორინოს", „ბოლტონს", „ნიუკასლსა" და „ვილიარეალსაც" უნდათ.

**გაგა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფული, ფული ჩქარა!

## ბენიტესს ნასუფრალზე ჯდომა მობეზრდა




**ამბობენ,** რომ „ლივერპულის" ახალი მეპატრონეები ცოტა დაიბნენ, როდესაც თავად თქვეს, ტიტულის მოპოვება ეგრე იოლი არ არის, სტრუქტურაა ასაშენებელი და შედეგს შეიძლება, წლები დასჭირდესო, მწვრთნელი რაფა ბენიტესი კი გვარიანი თანხების დახარჯვას ამ ზაფხულზევე აპირებს: ესპანელს „ენფილდზე" ახალი ფეხბურთელები სჭირდება, რათა ჩემპიონ „მანჩესტერ იუნაიტედთან" და ინგლისური თასების მფლობელ „ჩელსისთან" ძალითა და ღონით გათანაბრდეს.

და რას ამბობს ამაზე ამერიკელი მეპატრონე ჯორჯ ჯილეტი? ის ამბობს, რომ ასე ერთ ღამეში ყველაფრის შეცვლა შეუძლებელია.

„არ ვიცი, შევძლებთ თუ არა მომავალ სეზონში პრემიერლიგის ჩემპიონობისთვის ბრძოლას — ბრძანა ჯილეტმა — ჩვენ აუცილებლად გვჭირდება პროგრესი და ეს დაგეგმილიც გვაქვს, მაგრამ პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვანი და რთულია. ასე რომ, მოხერხდება თუ არა მდგომარეობის ერთ ღამეში შეცვლა, ვერ მოგახსენებთ. „მანჩესტერ იუნაიტედი" უძლიერესი მეტოქეა, „არსენალს" ისეთი ჩინებული ახალგაზრდობა ჰყავს, რომ ჩვენზე წინ არის, ხოლო „ჩელსი", ღმერთო ჩემო, მსოფლიოს საუკეთესო გუნდია. და რაც მთავარია, ეს გუნდები არ გაუარესდებიან. ასე რომ, მომავალი სეზონი რაფა ბენიტესისა და ჩვენი აღმასრულებელი შეფის რიკ პერის ყოჩაღობაზეა დამოკიდებული. ამ ხალხმა გეგმა შეადგინა, რომელსაც დაბეჯითებით უნდა მივდიოთ. მართალია, ჯერ ძალიან შორს ვართ, მაგრამ თანდათანობით ყველაფერი უნდა გამოსწორდეს".

ამასობაში კი ბენიტესი აცხადებს, რომ „ლივერპულმა" ფულის ხარჯვა ახლავე უნდა დაიწყოს, რადგან დრო აღარ ითმენს.

„გადამწყვეტი პერიოდია — ამბობს ბენიტესი — „იუნაიტედმა" უკვე დაიწყო ახალი ფეხბურთელების აყვანა. ამ გუნდმა, ჯერ ერთი, ჩემპიონის ტიტული უკვე მოიგო და მეორეც, ეს ის გუნდია, რომელსაც შეუძლია, ერთ საყრდენ ნახევარმცველში, ოუენ ჰარგრივსში 20 მილიონი გაისროლოს. ახლა წარმოიდგინეთ, რამდენის გადამხდელები არიან მანჩესტერელები გარემარბში ან თავდამსხმელში?! ჩვენ კი მხოლოდ მეოთხე ადგილისთვის მოვახერხეთ ბრძოლა და თუ ვითარება არ შეიცვლება, სხვაობა ჩვენსა და იმავ „მანჩესტერს" შორის ყოველწლიურად უფრო და უფრო გაიზრდება. ჩვენ მხოლოდ ნასუფრალს თუ შევწვდებით და საბოლოოდ ისე გამოვა, რომ შესაძლოა, ჩემპიონები ველარასოდეს გავხდეთ, რაც, ვშიშობ, რომ მეპატრონეებს ვერ გავაგებინე. იქნებ ეს იმის ბრალია, რომ ამ ხალხმა ევროპული ბაზარი არ იცის? მათ ყველაფერი იციან ამერიკული სპორტის შესახებ, მაგრამ მერწმუნეთ, ჩვენთან ცოტა სხვა ვითარებაა. მეპატრონეები ჩემთან ერთად სწორი ბიზნესის წარმოებას აპირებენ, რასაც ვეუბნები, თითქოს მეთანხმებიან, მაგრამ აუცილებლად აყოლებენ სიტყვას „მაგრამ"... არადა, მინდა დაგარწმუნოთ, რომ აქ ჩემს თავზე კი არ ვზრუნავ. ჩემს გუნდსა და ქომაგებზე რომ ვზრუნავ, იმიტომ ვამბობ ყოველივე ამას...

...მეპატრონეებისა ის მომწონს, რომ ბუნებით გამარჯვებისკენ მსწრაფველი ხალხია და პირველობას ითხოვს. მათთვისაც ფაქტია, რომ ჩვენ უნდა გავძლიერდეთ, მაგრამ არ ესმით, როგორ და როდის".

ამის შემდეგ კი ბენიტესმა თავის მომავალზე ილაპარაკა:

„აქედან არსად ვაპირებ წასვლას. რამდენიმე სერიოზული წინადადება მქონდა, მაგრამ ყველაზე უარი ვთქვი, რადგან „ლივერპულში" მომწონს".

და ისევ ახალი ფეხბურთელების ყიდვაზე:

„პეპე რეინა, ჯეიმი კარაგერი, სტივენ ჯერარდი და ხაბი ალონსო მეკითხებიან, გვეყოლება თუ არა ახალ ფეხბურთელთა ნაკადი. მათ ამის ცოდნა სჭირდებათ, მათ გუნდის გაძლიერება სურთ, მე კი პასუხს ვერ ვეუბნები და აგვისტომდეც ვერ დავიცდი. აგვისტომდე დაცდა სისულელეა. მათ ძლიერი შენაძენი რომ დაინახონ, დამშვიდდებიან, რადგან მიხვდებიან, რომ მათი გუნდის ამბიცია კვლავ ძალიან მაღალია...

...ასე და ამგვარად, მე კლუბის მეპატრონეებს ავუხსენი, რომ მათ სწრაფად უნდა გამოაჩინონ ფული. ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედზე" სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ. დანარჩენი გამოჩნდება".

**ბაჩუნა ძიდია**



# გიგზმა ნაკრებს ხელი დაუქნია

**რაიან გიგზმა** გამოაცხადა, რომ ჩეხებთან მოახლოებული მატჩი მისთვის უკანასკნელი იქნება უელსის ნაკრებში.

ამბობენ, რომ გიგზზე ძალიან იმოქმედა ამასწინანდელმა მარცხმა ირლანდიასთან, რამაც უელსელებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაღწევის შანსი, ფაქტობრივად, დაუკარგა.

33 წლის გიგზს ნაკრებში 64-ჯერ უთამაშია და მწვრთნელ ჯონ ტოშაკს დიდი იმედი ჰქონდა, რომ ის 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირშიც დაეხმარებოდა გუნდს.

ნაკრებიდან წასვლის კვალად, გიგზი „მანჩესტერში" რჩება, სადაც 716-ჯერ უთამაშია და მხოლოდ 43 მატჩი აშორებს ბობი ჩარლტონის რეკორდს.

**ბაჩუნა ძიდია**

# დადექი და აგინე!

## სადღაა ძველი პატივისცემა



**ცნობილი** ინგლისელი მსაჯი გრემ პოლი ფეხბურთიდან მიდის. მიზეზი: ფეხბურთის ასოციაციამ „ჩელსის" კაპიტან ჯონ ტერისთან კონფლიქტის დროს მხარი არ დაუჭირა.

43 წლის პოლს კანონით კიდევ ოთხი წლის განმავლობაში შეეძლო საფეხბურთო მატჩების განსჯა, მაგრამ აღარ ისურვა, განაცხადა, რომ ასოციაცია მსაჯებს მწვრთნელებისა და ფეხბურთელების შეურაცხყოფებისგან არ იცავს და ქუდი დაიხურა.

„მსაჯები ოდესღაც ავტორიტეტული ფიგურები იყვნენ, ახლა კი მწვრთნელებისა და ფეხბურთელების სამიზნეები არიან. მწვრთნელები და ფეხბურთელები მათ შავ დღეში აგდებენ, რათა მიაღწიონ მათ წინაშე დასახულ მიზანს — ნებისმიერი ხერხით მოგებას".

პოლისა და ტერის ამბავი კი გასული ნოემბრისა გახლავთ. ის „ჩელსისა" და „ტოტენჰემის" შეხვედრაში მაშინ მოხდა, როდესაც მსაჯმა ლონდონელთა კაპიტანი ორი ყვითლის ძალით მოედნიდან გააგდო. და საინტერესო რა არის, იცით? ტერიმ იჩივლა, პოლმა ცუდი სიტყვა მითხრაო, კერძოდ, საუბარია „ფაქ ოფ"-ზე, რაც „წადი შენის" ინგლისური ვარიანტია. გამოდის, რომ, თუ ტერი არ იტყუება, ფეხბურთელს კი არ გაულანძღავს მსაჯი, მსაჯს გაულანძღავს ფეხბურთელი.

კიდევ, იყო ლაპარაკი, რომ იმავე შეხვედრაში პოლმა „ჩელსის" ორ ფეხბურთელს უთხრა, თქვენ ყოველგვარ ზღვარს სცილდებით და ერთი კარგი გაკვეთილი გჭირდებათო.

ინციდენტის შემდეგ პოლმა მომხდარი ამბავი გააანალიზა და დაინახა, რომ ფეხბურთის ასოციაციის შეფი ბრაიან ბერვიკი მის მოწოდებას ყურს არ უგდებდა და მსაჯების დასაცავად ხმის ამაღლებას არც ფიქრობდა

„კარიერის დამთავრება მაშინვე მინდოდა, მაგრამ მერე ვიფიქრე, რომ ასე საქმე უკეთესობისკენ ვერ შემოტრიალდებოდა, გამოდიოდა, რომ ტერისთან დაკავშირებულ ისტორიაში დამნაშავის სახელით უნდა დავრჩენილიყავი და რამდენი ეს ამბავი გაახსენდებოდათ, იმდენი უნდა წამოეძახებინათ ჩემთვის ის, რაც არ გამიკეთებია. მივხვდი, რომ ჩემი ამოცანა „ჩელსის" აგრესიის შეჩერება კი არ გახლდათ, ფეხბურთის ასოციაციისთვის ხელების შეკვრა, რათა მას არ შეეწყო „ჩელსის" აგრესიისა და მსგავსი რამეებისთვის ხელი".

მაშინ პოლის ბრძოლამ შედეგი გამოიღო და ჯონ ტერი ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტმა 10 ათასი გირვანქით დააჯარიმა.

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დაიმალეთ, ქალებო, ჩარლი მოდის!

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველ კიერონ რიჩარდსონის ბიძაშვილი ჩარლი შოუ „დიდ ძმაში“ მიიწვიეს.

20 წლის ლამაზმანი ბრიტანული პრესის თავფურცლების ხშირი სტუმარია, რამეთუ პრიემიერლიგელ ფეხბურთელებთან სასიყვარულო რომანების გამითაა განთქმული. გარდა ამისა, იგი დევიდ ბექჰემის დის, ჯოანას საუკეთესო მეგობარია...

ყველაზე პოპულარული კი ჩარლი მას შემდეგ გახდა, რაც იანვარში ლივერპულელი ჯერმენ პენანტის დაბადების დღეზე იჩხუბა. მაშინ ერთმანეთს წვეულებაზე მიპატიჟებულმა ქალბატონებმა დაავარეს და ჩარლი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მოჩხუბარი იყო. გაზეთებში სურათებიც კი დაიბეჭდა, თუ როგორ ათრევს იგი თმებით მავან გოგონას სისხლიან იატაკზე.

მაშინ ჩარლის პოლიციაშიც მოუწია ახსნა-განმარტებების დაწერამ, თუმცა მაინც იოლად გამოძვრა.

მოკლედ, ვაი იმ ფეხბურთელს, ვინც მას თავისი ნებით დაშორდება...

**კახა შალამბერიძე**

# ნაციხარი ოლდემში

## კაცის მკვლელმა კონტრაქტი ვირის აბანოში გააფორმა



**„ვესტ ბრომვიჩის“** ყოფილი ფეხბურთელი ლი ჰიუზი, რომელმაც ბოლო სამი წელი ციხეში გაატარა, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს და პირველი დივიზიონის „ოლდემთან“ კონტრაქტის გაფორმებაც მოასწრო.

სამი წლის წინ, როცა ლი ჰიუზი 28-ის იყო, „მერსედესით“ შეეჯახა ავტომობილს, რომლის საჭესთანაც 56 წლის დუგლას გრემი იჯდა. ოთხი შვილის მამა ადგილზევე დაიღუპა, ერთი წლის შემდეგ კი დუგლასის მეუღლე მორინიც მიიცვალა — ქალმა ტრაგედია ვეღარ გადაიტანა.

მაშინ ლი ჰიუზს სასამართლომ ექვსი წელი მიუსაჯა, მაგრამ ადრე გამოუშვეს, რაც, ბევრის აზრით, განადგურებული ოჯახის შეურაცხყოფაა.

ჰიუზმა რომ გაიგო, მიშვებენო, მოლაპარაკება დაიწყო „ოლდემთან“ და კონტრაქტზეც მოურიგდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# სილვას მუქარა

**„ლივერპული“** ვალენსიელი დავიდ სილვას ყიდვას ცდილობს.

ბრიტანული „სანის“ ცნობით, ესპანელი ნახევარმცველის სანაცვლოდ ინგლისური კლუბი 12 მილიონ გირვანქას გაიმეტებს, თუმც სილვას კონტრაქტში წერია, რომ მისმა მყიდველმა 40 მილიონი უნდა გადაიხადოს.

ვალენსიელმა კლუბთან შარშან ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, მაგრამ ახლა ჯამაგირის მომატებას ითხოვს და წასვლით იმუქრება.

# კიდევ ერთი არა

**ტიერი ანრიმ** კიდევ ერთხელ თქვა, რომ „ბარსელონაში“ არ გადავა. 29 წლის ფრანგი შარშან ზაფხულს ახლოს იყო კატალონიურ კლუბში გადასვლასთან, მაგრამ იუარა.

ლონდონის „არსენალის“ ფრანგი კაპიტანი ამბობს, რომ ხელახლა აგორებული ჭორები არ აღელვებს:

„აქ მოსვლის დღიდან სულ ჩემს წასვლაზე ლაპარაკობენ და ეს არასოდეს დასრულდება. ერთი კვირის წინაც ვთქვი და ვიმეორებ — მე „არსენალის“ ფეხბურთელი ვარ და ამ გუნდში ვრჩები. მეტს ვერაფერს დავამატებ“.

# ალი პორტში

**„უდინეზეს“** ნახევარმცველი სულეი ალი მუნტარი „პორტსმუთში“ გადავიდა.

განის ნაკრების ფეხბურთელი პორტელებს შარშან ზაფხულშიც უნდოდათ, მაგრამ უდინელებმა არ დაუთმეს. ამჯერად პრემიერლიგური კლუბი 7 მილიონ გირვანქას იხდის და მუნტარი კვირის ბოლომდე ოფიციალურად გახდება „პორტსმუთის“ მოთამაშე.

# კარგად დააკვირდით ბისტროვს

**მოსკოვის** „სპარტაკის“ ნახევარმცველ ვლადიმირ ბისტროვის ყიდვა „ასტონ ვილას“ სურს.

ბირმინგემული კლუბის სკაუტები 23 წლის ფეხბურთელს რუსეთის ნაკრების უახლოეს მატჩებში, ანდორასთან და ხორვატიასთან დააკვირდებიან.

# სერი სეირს უყურებს

**ზლატან იბრაჰიმოვიჩი** და „ინტერი“ ახალ კონტრაქტზე ვერ თანხმდებიან, „მანჩესტერი“ კი ჩასაფრებულია. შვედს წელიწადში 5 მილიონ 300 ათასი ევრო აქვს ხელფასი და გაორმაგებას ითხოვს, „ინტერი“ კი უარზეა.

ალექს ფერგიუსონს იბრაჰიმოვიჩის ყიდვა ჯერ კიდევ მაშინ უნდოდა, როცა „მალმიოში“ თამაშობდა და თუ შანსი ექნება, ახლაც ეცდება მის გადაბირებას.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...



## სვენ გორან ერიკსონი

მწვრთნელი

დაიბადა 1948 წლის 5 თებერვალს ტორსბიში

ფეხბურთელის კარიერა: 1966-71 წლები — „ტორსბი“, 1971-73 წლები — „სიფალა“, 1973-75 წლები — „კარლსკოგა“

სამწვრთნელო კარიერა: 1977-78 წლები — „დეგერფორსი“, 1979-82 წლები — „გიოტებორგი“, 1982-84 წლები — „ბენფიკა“, 1984-87 წლები — „რომა“, 1987-89 წლები — „ფიორენტინა“, 1989-92 წლები — „ბენფიკა“, 1992-97 წლები — „სამპდორია“, 1997-2001 წლები — „ლაციო“, 2001-06 წლები — ინგლისის ნაკრები

ტიტულები: შვედეთის თასი (1980, 1982), შვედეთის ჩემპიონი (1982), უეფას თასი (1982), პორტუგალიის ჩემპიონი (1984), პორტუგალიის თასი (1984), იტალიის თასი (1986, 1994, 1998, 2000), თასების თასი (1999), იტალიის ჩემპიონი (2000)

## VOLVO XC90

გამოშვების თარიღი: 2003 წელი

სიგრძე: 4,807 მეტრი

სიგანე: 1,909 მეტრი

სიმაღლე: 1,784 მეტრი

წონა: 2 250 კგ

ცილინდრი: 8

ძრავის კუბატურა: 4,4

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 232 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 7,4 წამში

ფასი: 45 000 დოლარი



# ოუენ ჰარგრივსმა მანჩესტერი გაიარა



**სულ** მალე ოუენ ჰარგრივსი მიუნხენის „ბაიერნიდან“ „მანჩესტერში“ გადავა.

ინგლისური კლუბი მასში 17 მილიონი გირვანქის გადახდას დათანხმდა. წინა კვირაში ფეხბურთელმა სამედიცინო შემოწმებაც გაიარა „იუნაიტედში“ და სამ ან ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ახლა ჰარგრივსი კანადაშია თავისი ოჯახის მოსანახულებლად, იმ კვირიდან კი „მანჩესტერს“ შეუერთდება.

26 წლის ინგლისელ-კანადელმა 10 წელი გაატარა „ბაიერნში“ და ერთხელ ჩემპიონთა თასი და ექვსჯერ გერმანიის ჩემპიონობა მოიგო.

„მანჩესტერს“ იანვარშიც უნდოდა მისი შეძენა, ოღონდ მაშინ პირობებზე ვერ შეუთანხმდა გერმანელებს.

წლევანდელი სეზონი ჰარგრივსისთვის უიღბლო იყო: პირველი ოთხი თვე ტრავმის გამო გააცდინა, მერე კი სულ 9-ჯერ ითამაშა „ბაიერნის“ ძირითადში. მას ახლაც სტკივა მუხლი და ამიტომ ინგლისის ნაკრებშიც გაუცდება თამაშები ბრაზილიელებისა და ესტონელების წინააღმდეგ.

**ირაკლი გაბუნელიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა სისულელეა!



**ლონდონის** „ჩელსის“ პატრონმა რომან აბრამოვიჩმა მონაჩმახი უწოდა ცნობას, თითქოს იგი გუნდის გასაძლიერებლად ფულს აღარ დახარჯავს და ფეხბურთელებს ჯამაგირს არ გაუზრდის.

წინა კვირას ბრიტანულ მედიაში წერდნენ, ფრენკ ლამპარდს და ჯონ ტერის ხელფასს არ უმატებენ და ბიჭები წასვლას აპირებენო.

„რა სისულელეა! — თქვა აბრამოვიჩმა „ეხო მოსკვასთან“ საუბრისას — მე კვლავაც მიყვარს „ჩელსი“ და ისევე გავაგრძელებ, როგორც დავიწყე. კლუბსა და ჩემს შორის ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა და არც მსურს რამის შეცვლა.“

18 მილიარდ 700 მილიონი დოლარის მფლობელმა რუსმა „ჩელსის“ 2003 წლიდან 500 მილიონი დოლარი დაახარჯა.

**გაგა ხუციშვილი**

# ბუფონმა, ლიპი რა შუაშიაო



**იტალიურმა** პრესამ გაავრცელა ცნობა, თუ „იუვენტუსს“ მარჩელო ლიპი ჩაიბარებს, ჯანლუიჯი ბუფონი წასვლაზე ფიქრს შეწყვეტს და დარჩებაო. თუმცა ჯიჯიმ ეს უარყო, ჩემს გადაწყვეტილებაზე მწვრთნელი არ იმოქმედებსო.

„არ ვიცი, ვინ შეცვლის დეშანს, ეს ხელმძღვანელობის საქმეა. მე, უბრალოდ, ფეხბურთელი ვარ და ამ საკითხზე არანაირი პრობლემა არ მაქვს. ლიპი? რასაკვირველია, მოხარული ვიქნები, თუ იგი მოვა. ლიპი წარმატების გარანტია. თუმცა მინდა განვაცხადო, რომ ჩემი მომავალი ამაზე არ იქნება დამოკიდებული. მთავარია, „იუვენტუსი“ გაძლიერდეს და სერია A-ში თუ ევროპაში მაღალი მიზნებისთვის ბრძოლის შანსი ჰქონდეს. წინა კვირაში, როცა უფროსობას შევხვდი, ვუთხარი, რომ დარჩენასთან უფრო ახლოს ვარ, ვიდრე წასვლასთან. თითქოს საამისო სტიმული და მოტივაცია უკვე ვიპოვე. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი შევათანხმეთ და საბოლოო გადაწყვეტილება მივიღე. აქ ბევრი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელსაც უშუალოდ ფეხბურთთან არაფერი ესაქმება. ალესანდრო დელ პიეროს დარად, მე „იუვენტუსისთვის“ უფრო მეტი ვარ, ვიდრე უბრალო მოთამაშე“ — აღნიშნა ჯიჯიმ.

დეშანის წასვლაზე კი ბუფონის კომენტარი ასეთია: „ვიცოდი, რომ რაღაც პრობლემები იყო. თუმცა ეს ჩვეულებრივი გაუგებრობა მეგონა მწვრთნელსა და ხელმძღვანელობას შორის. რადგან დიდიემ წასვლა გადაწყვიტა, ესე იგი, ამის მიზეზიც ჰქონდა. მინდა, მას მადლობა გადავუხადო ყველაფრისთვის, რაც გააკეთა. ახლა კი „იუვენტუსისთვის“ მთავარი მომავალზე ფიქრი, გაძლიერება და დაწყებული პროექტის ბოლომდე მიყვანაა“.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ერნან კრეს-პო ინტერს

**ერნან კრესპოს** აგენტმა დაადასტურა, რომ „ჩელსიდან“ „ინტერში“ განათხოვრებული მისი კლიენტი მილანურ კლუბში დარჩება.

— „ინტერთან“ ყველაფერზე მოვრიგდით — თქვა ფერნანდო იდალგომ — კრესპო კიდევ ერთი წლით ითამაშებს, ქირით „შავ-ლურჯებში“, მერე კი ახალ, ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ძალიან ბედნიერნი ვართ, რადგან ეს სწორედ ისაა, რაც ძალიან გვინდოდა.“

**გაგა ხუციშვილი**

# ბაიერნის ტონი დამტკიცებულია

## ჯერ მედიცინა, მერე ფეხბურთი



**მიუნხენის** „ბაიერნმა“ დაადასტურა, რომ ლუკა ტონისთან კონტრაქტის პირობები შეათანხმა. 30 წლის იტალიელი ფორვარდი 2011 წლის 30 ივნისამდე ითამაშებს გერმანულ გრანდში. გავრცელებული ცნობით, იგი სეზონში 6 მილიონ ევროს მიიღებს, ხოლო „ფიორენტინას“ მის სანაცვლოდ 11,7 მილიონ ევროს ჩაუთვლიან.

ტონის შეძენა „ინტერს“, „იუვენტუსს“, „ჩელსისა“ და სხვა კლუბებსაც სურდათ, მაგრამ „ბაიერნმა“ ყველას დაასწრო. მიუნხენელებმა დიდი ხნის წინ დაადგეს თვალი 2005-2006 წლების „ოქროს ბუცის“ მფლობელს და ლამის მთელი წელი გაიძახოდნენ, ტონი ზუსტად ის არის, ვინც „ბაიერნს“ სჭირდებაო.

„ლუკასთან საბოლოო შეთანხმებას მივაღწიეთ. დეტალებიღაა მოსაგვარებელი. იგი გუნდთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს. ტონი მიუნხენში 8 ივნისს ჩამოვა, სამედიცინო შემოწმებას გაივლის და ოფიციალურად წარვუდგენთ პრესას“ — თქვა გერმანული გრანდის პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ.

შეგახსენებთ, რომ „ფიორენტინას“ გარდა, ტონი „ტრევიზოში“, „ვიჩენცაში“, „ბრეშასა“ და „პალერმოშიც“ თამაშობდა.

**გიორგი ძაძაბაძე**

# ლიონის ლილელები

**„ეკიპის“** ცნობით, „ლიონი“ „ლილიდან“ აბდულ კადერ კეიტასა და მეტიუ ბოდმერის ყიდვას აპირებს. კოტდივუარელი კეიტას სანაცვლოდ ჩემპიონი 20 მილიონის ევროს გადამხდელია, ხოლო ბოდმერი რევადაა შეფასებული.

„ეკიპი“ არ გამორიცხავს, რომ „ლიონს“ კეიტასთან უკვე გაფორმებული ჰქონდეს ოთხწლიანი კონტრაქტი. კოტდივუარელს შეძენა „ტოტენჰემს“ სურდა და ერთ კვირის წინ „ლილს“ 19 მილიონი შესთავაზა.

**გაგა ხუციშვილი**

## პერენი ლიონში

**ალენ პერენი** „ლიონის“ მწვრთნელად დანიშნეს. „პორტსმუთისა“ და „მარსელის“ ყოფილი თავკაცი, 50 წლის პერენი ამ სეზონში „სოშოს“ წვრთნიდა და საფრანგეთის თასი მოაგებინა.

მან „ლიონში“ ჟერარ ულიე შეცვალა.

სოშოელთა პრეზიდენტმა ჟან-კლოდ პლესილმა ლიონელ კოლეგა ჟან-მიშელ ოლასგან კომპენსაცია მოითხოვა და 500 ათასი ევრო მიიღო, პერენმა კი ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

## გუშინდელი ბავშვი

**სანაკრებო** მატჩების წინ სოფიაში გამართულ პრესკონფერენციაზე დიმიტარ ბერბატოვმა განაცხადა, რომ „ტოტენჰემიდან“ შესაძლო წასვლაზე საუბრები ხელს ვერ შეუშლის ბელარუსთან სათამაშოდ მოსამზადებლად: „გუშინ არ დავბადებულვარ და ჭორები სულაც არ მაღელვებს. მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ ექვსი ქულა ავიღო. ამის შემდეგ კი გპირდებით, „ტოტენჰემთან“ ყველაფერს გავარკვევ.“

## ინამოტო ტაკაჰარასთან

**ფრანკფურტის** „აინტრახტის“ პირველი შენაძენი იუნიჩი ინამოტო გახდა, რომელიც „გალათასარაიდან“ გაუშვეს. 27 წლის ნახევარმცველმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ინამოტო „აინტრახტში“ არ მოიწყენს, რადგან იქ უკვე თამაშობს ნაოხირო ტაკაჰარა.

## ჰაკერმა ლილი გატეხა

**ფრანგული** „ლილის“ ვებგვერდზე ჰაკერებმა შეაღწიეს და დაწერეს, რომ მწვრთნელი კლოდ პუელი გათავისუფლებულია, მის ადგილს კი ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი დაიკავებს, ვინც პუელამდე თავკაცობდა გუნდს.

ჰაკერულმა ცნობამ რამდენიმე წუთი გაატარა ვებგვერდზე, სანამ ადმინისტრატორი აღმოაჩენდა...

## რუნიეს სკენდერი შეცვლის

**ხორვატიის** ნაკრების მეკარე ვედრან რუნიე ვარჯიშზე დაშავდა და ბაზიდან წავიდა. „ბეშიქთაშის“ გოლკიპერს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. ხორვატთა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა რუნიეს ნაცვლად „ოსიეკიდან“ მარინ სკენდერი გამოიძახა. ბილიჩის გუნდი 2 ივნისს ესტონეთს, 6 ივნისს კი რუსეთს ეთამაშება.

## ფრანგები ჩინეთში

**საფრანგეთის** სუპერთასის მატჩი 24 ივლისს ჩინეთში, ტანზანიაში გაიმართება. ჯილდოსთვის ერთმანეთს ჩემპიონი „ლიონი“ და თასის მფლობელი „სოშო“ დაეჯახებიან.

## სანჩესს ჰილი გაახსენდა

**„ლიდსის“** და ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების ფორვარდი დევიდ ჰილი, შესაძლოა, „ფულემში“ გადავიდეს — წერს BBC. ფულემელთა მწვრთნელი ლოური სანჩესი ირლანდიელთა ყოფილი თავკაცია და სურს, რომ ჰილმა მის გუნდში ითამაშოს.

ლონდონური კლუბი 27 წლის ფორვარდის შეძენას ზამთარშიც ცდილობდა, მაგრამ მაშინ არ გაყიდეს.

## ვიცე ალბერტინი

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაციაში სამი ვიცე-პრეზიდენტი აირჩიეს და მათ შორისაა „მილანის“ ყოფილი ნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინი, რომელიც იმავდროულად იტალიის ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტია. მეორე ვიცე კარლო ტავეჩიოა, მესამე კი — ჩეზარე გუსონი.

## ზიდანის ოთხი ხუთიანი

**„მაინცის“** ეგვიპტელი ფორვარდი მოჰამედ ზიდანი „ჰამბურგში“ გადავიდა. ზიდანმა გუშინ სამედიცინო შემოწმება გაიარა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ამ ხნის განმავლობაში იგი 5 მილიონ ევროს მიიღებს.

ეგვიპტელი შარშან „ვერდერიდან“ გადავიდა „მაინცში“ და 15 მატჩში 13 გოლი შეაგდო.

## იუბილე კიევში

**კიევის** „დინამოს“ 80 წლის იუბილეზე „მილანი“ ან „ჩელსი“ ეწვევა. კლუბის პრეზიდენტმა იგორ სურკისმა განაცხადა: „ცხადია, დიდ ზეიმს მოვაწყობთ. თუმც ჯერ თარიღია დასაზუსტებელი. კარგ უცხოურ გუნდს მოვიწვევთ. ვგებ „მილანთან“ ან „ჩელსისთან“ მოვრიგდეთ, მათთან მოლაპარაკება უკვე დაწყებულია“.

## ერთმატჩიანი ფეხი

**ხეტაფელი** ფეხბურთელისთვის ფეხებშუა ამორტყმის გამო რონალდინიოს ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია გამოუწერეს. ამგვარად, ბრაზილიელი მომდევნო ტურს, „ესპანიოლთან“ დერბის გამოტოვებს.

## მალდინი და ჯილა გაჭრეს

**იტალიური** „მილანის“ ფეხბურთელებმა, პაოლო მალდინიმ და ალბერტო ჯილარდინომ ანტვერპენში მუხლის ოპერაცია გაიკეთეს.

პროფესორ მარკ მარტენსის თქმით, ორივე ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. წესით, მალდინიც და ჯილარდინოც ივლისში მზად იქნებიან.

**გაგა ხუციშვილი**

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 20 | არეცო-მოდენა | 1.85 | 3.00 | 4.10 | 1.14 | 1.27 | 1.73 |
| 17:00 | 25 | მანტოვა-ჯენოა | 2.80 | 2.80 | 2.55 | 1.39 | 1.33 | 1.33 |
| 17:00 | 28 | სპეცია-ტრევიზო | 2.05 | 2.90 | 3.50 | 1.20 | 1.29 | 1.58 |
| 17:00 | 29 | ტრიესტინა-რიმინი | 2.30 | 3.00 | 2.80 | 1.30 | 1.26 | 1.44 |
| 17:00 | 30 | ვიჩენცა-პიაჩენცა | 3.70 | 2.90 | 1.95 | 1.62 | 1.27 | 1.16 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 42 | კადისი-ელჩე | 1.95 | 3.10 | 3.65 | 1.19 | 1.27 | 1.67 |
| 20:30 | 44 | სპორტინგი-სიუდადი | 2.00 | 3.00 | 3.60 | 1.20 | 1.28 | 1.63 |
| 20:30 | 46 | ლას პალმასი-სალამანკა | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 20:30 | 49 | ტენერიფე-ვეცინდარიო | 1.65 | 3.40 | 4.75 | 1.11 | 1.22 | 1.98 |
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 39 | ალავესი-ვალიადოლიდი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| 21:00 | 40 | ალბასეტე-სერესი | 1.95 | 3.00 | 3.50 | 1.18 | 1.25 | 1.61 |
| 21:00 | 41 | ალმერია-მალაგა | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 20:30 | 43 | კასტელონი-პონფერადინა | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 20:00 | 45 | პერკულესი-ლორკა | 1.70 | 3.40 | 4.50 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 21:30 | 47 | მურსია-რეალი(ბ) | 1.75 | 3.40 | 4.20 | 1.15 | 1.23 | 1.87 |
| 20:00 | 48 | ნუმანსია-ეხიდო | 2.05 | 3.00 | 3.60 | 1.21 | 1.30 | 1.63 |
| | | ბელგია. პლეი ოფი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 231 | მეხელენი-ანტვერპენი | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 22:30 | 232 | ლიერსი-კორტრაიკი | 1.50 | 3.60 | 5.50 | 1.05 | 1.17 | 2.17 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 21:00 | 106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 21:00 | 107 | პეკენი-იონკოპინგი | 1.65 | 3.50 | 4.30 | 1.12 | 1.19 | 1.92 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები | | | | | | |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 22:30 | 175 | საბერძნეთი-უნგრეთი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| 16:00 | 176 | ყაზახეთი-სასომხეთი | 2.10 | 3.20 | 3.30 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 18:00 | 177 | უელსი-ჩეხეთი | 4.70 | 3.30 | 1.70 | 1.93 | 1.24 | 1.12 |
| 19:00 | 178 | რუსეთი-ანდორა | 1.01 | 12.00 | 30.00 | 1.00 | 1.00 | 8.57 |
| 20:00 | 179 | აზერბაიჯანი-პოლონეთი | 12.00 | 5.10 | 1.22 | 3.57 | 1.10 | 1.00 |
| 20:00 | 180 | ისლანდია-ლიხტენშტაინი | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 20:15 | 181 | ფინეთი-სერბეთი | 2.85 | 3.10 | 2.45 | 1.48 | 1.31 | 1.36 |
| 21:00 | 182 | გერმანია-სან მარინო | 1.01 | 11.00 | 40.00 | 1.00 | 1.00 | 8.62 |
| 21:30 | 183 | მაკედონია-ისრაელი | 3.10 | 3.10 | 2.20 | 1.54 | 1.28 | 1.28 |
| 22:00 | 184 | ბელარუსი-ბულგარეთი | 2.95 | 3.10 | 2.35 | 1.51 | 1.30 | 1.33 |
| 22:00 | 185 | ბოსნია-თურქეთი | 4.20 | 3.20 | 1.80 | 1.81 | 1.25 | 1.15 |
| 22:00 | 186 | დანია-შვედეთი | 2.25 | 3.10 | 3.10 | 1.30 | 1.30 | 1.54 |
| 22:00 | 187 | ნორვეგია-მალტა | 1.12 | 6.30 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.79 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:30 | 188 | ალბანეთი-ლუქსემბურგი | 1.12 | 6.00 | 16.00 | 1.00 | 1.04 | 4.36 |
| 22:30 | 189 | ესტონეთი-ხორვატია | 8.00 | 4.00 | 1.40 | 2.66 | 1.19 | 1.03 |
| 22:30 | 190 | ლატვია-ესპანეთი | 9.00 | 4.50 | 1.32 | 3.00 | 1.15 | 1.02 |
| 22:45 | 191 | ბელგია-პორტუგალია | 4.20 | 3.20 | 1.85 | 1.81 | 1.28 | 1.17 |
| 22:45 | 192 | ფარერები-იტალია | 30.00 | 12.00 | 1.02 | 8.57 | 1.00 | 1.00 |
| 22:45 | 193 | სლოვენია-რუმინეთი | 3.80 | 3.10 | 1.95 | 1.70 | 1.28 | 1.19 |
| 23:00 | 194 | საფრანგეთი-უკრაინა | 1.55 | 3.50 | 6.20 | 1.07 | 1.24 | 2.23 |
| | | ამხანაგური მატჩები | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 155 | ინგლისი-ბრაზილია | 2.50 | 3.00 | 2.70 | 1.36 | 1.29 | 1.42 |
| 23:45 | 156 | ავსტრალია-ურუგვაი | 2.30 | 3.00 | 3.10 | 1.30 | 1.32 | 1.52 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 15:00 | 157 | სამხრეთ კორეა-პოლანდია | 3.45 | 3.20 | 2.00 | 1.66 | 1.26 | 1.23 |
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 164 | პერუ-ეკვადორი 6 | 3.20 | 3.00 | 2.20 | 1.54 | 1.30 | 1.26 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები(21) | | | | | | |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 166 | იტალია(21)-ალბანეთი(21) | 1.10 | 7.00 | 13.00 | 1.00 | 1.01 | 4.55 |
| 21:00 | 167 | მოლდოვა (21)-ჩრდ. ირლანდია(21) | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 20:00 | 168 | უკრაინა(21)-თურქეთი(21) | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 22:45 | 169 | საფრანგეთი(21)-რუმინეთი(21) | 1.45 | 3.80 | 5.70 | 1.04 | 1.15 | 2.27 |
| | | 2 ივნისი | | | | | | |
| 17:30 | 170 | ბელარუსი(21)-უნგრეთი(21) | 1.85 | 3.30 | 3.80 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 19:00 | 171 | ხორვატია(21)-ფარერები(21) | 1.05 | 8.30 | 13.00 | 1.00 | 1.00 | 5.06 |
| 17:45 | 172 | საბერძნეთი(21)-აზერბაიჯანი (21) | 1.13 | 6.20 | 11.00 | 1.00 | 1.02 | 3.96 |
| 18:00 | 173 | სერბეთი(21)-ლატვია(21) | 1.37 | 4.00 | 6.50 | 1.02 | 1.13 | 2.47 |
| | | 3 ივნისი | | | | | | |
| 14:00 | 174 | ესტონეთი(21)-ნორვეგია(21) | 4.00 | 3.40 | 1.70 | 1.83 | 1.19 | 1.13 |
| | | სამხრეთ ამერიკის სუპერ თასი (პირველი მატჩი) | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 425 | პაჩუკა(მექს)-ინტერნასიონალი(ბრაზ) | 1.65 | 3.40 | 4.60 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | ევ. შესარჩევი მატჩები(19) | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 21:30 | 213 | სერბეთი 19-დანია 19 | 2.30 | 3.20 | 2.70 | 1.33 | 1.24 | 1.46 |
| | | 1 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 214 | იტალია 19-შვედეთი 19 | 1.80 | 3.40 | 3.80 | 1.17 | 1.22 | 1.79 |
| | | პოლონეთი. თასი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 22:30 | 230 | გროცლინი-ზაგლებე | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 31 მაისი | | | | | | |
| 23:45 | 420 | კუკუტა-ბოკა ხუნიორსი | 2.65 | 3.20 | 2.35 | 1.44 | 1.24 | 1.35 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 2.50 | 2.00 | 3.30 | 1.11 | 1.42 | 1.24 |
| 10107 | პეკენი-იონკოპინგი | 2.05 | 2.10 | 4.60 | 1.03 | 1.41 | 1.44 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11107 | პეკენი-იონკოპინგი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 1.70 | 1.90 |
| 12107 | პეკენი-იონკოპინგი | 1.90 | 1.70 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 1.70 | 1.90 |
| 13107 | პეკენი-იონკოპინგი | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი ჩაითვლება წაგებულად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 1.75 | 2.10 |
| 14107 | პეკენი-იონკოპინგი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15107 | პეკენი-იონკოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრის გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 1.50 | 2.30 |
| 16107 | პეკენი-იონკოპინგი | 1.23 | 3.60 |

### გოლი: ლუწი-1/ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17106 | ფალკენბერგი-სირიუსი | 1.85 | 1.95 |
| 17107 | პეკენი-იონკოპინგი | 1.85 | 1.95 |

## შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ორმაგი დარტყმა

## მანუჩარ მარკოიშვილს ფინალი და დრაფტი გაუცდა

მანუჩარ მარკოიშვილს ბედმა უმუხთლა: მისი გუნდი სლოვენიის ჩემპიონატის ფინალშია და თავად კი ვერ ეხმარება. აქეთ მისმა სადრაფტო ვოიაჟმა დალია ჩაილურის წყალი — ნბა-ში გადაბარგების მორიგი შანსი მანუს ალბათ მომავალ ზაფხულს მიეცემა. მარკოიშვილმა სლოვენიის ჩემპიონატის პირველ ნახევარფინალურ მატჩში მძიმე ტრავმა მიიღო და მისთვის ეს სეზონი დამთავრდა. ახლა საკითხავი ისაა, მოასწრებს თუ არა მანუჩარი აგვისტომდე რეაბილიტაციას, როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ევროსაკვალიფიკაციოზე გადამწყვეტი მატჩები ელის...



— „სლოვანთან" ნახევარფინალური სერიის პირველივე მატჩში დავშავდი — გვითხრა მანუჩარ მარკოიშვილმა გუშინ, ლიუბლიანაში რომ შევეხმიანეთ — მეტოქე გუნდის ცენტრი დამეჯახა და ფეხის კუნთი დამიზიანა. არ გამწყდომია, მაგრამ ძალიან დაიბეჟა და დამისივდა. მერე ტკივილი მუხლზეც გადავიდა და ვარჯიშს ვინ ჩივის, სიარულიც კი მიჭირდა.

**— რამდენი ხანი დაგჭირდება სარეაბილიტაციოდ?**

— მინიმუმ თვენახევარი ვარჯიშს ვერ შევძლებ, ჯერ კი მხოლოდ ორი კვირა გავიდა. ახლა მხოლოდ ტრენაჟორებზე ვვარჯიშობ, სირბილი არ შემიძლია.

**— წლევანდელ დრაფტზე აპირებდი დადგომას და ალბათ ეს გეგმაც ჩაგეშალა...**

— რა თქმა უნდა, დრაფტზე აღარ დავდგები. თუ გუნდებმა საქმეში არ მნახეს, ვინ ამირჩევს?!

**— ამას წინათ ნბა-ს ვებგვერდმა გამოაქვეყნა იმ 25 უცხოელის სია, რომლებმაც დრაფტში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. შენც მათ შორის იყავი და ეს პროცედურულად როგორ მოხდა?**

— ეს ყველაფერი ჩემმა აგენტმა მოაგვარა, მე არაფერი ვიცი. ტრავმა რომ არ მიმეღო, სლოვენიის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ამერიკაში უნდა წავსულიყავი და ნბა-ს სხვადასხვა კლუბებში უნდა მევარჯიშა. ზუსტი განრიგით არც დავინტერესებულვარ, რადგან ტრავმის შემდეგ გული გამიტყდა.

**— დრაფტზე დასადგომად კიდევ გაქვს ერთი წელი და ალბათ მომავალი სეზონის ბოლოს მიიღებს მასში მონაწილეობას..**

— ზუსტად არ ვიცი, მაგრამ, თუ არ ვცდები, მომავალ წელსაც შემეძლება დრაფტზე დადგომა. ასაკობრივი ლიმიტი 22 წელია, მე კი 21-ის ვარ.

**— ახლა რას გეგმავ, თბილისში როდის ჩამოდიხარ?**

— სანამ სლოვენიის ჩემპიონატი არ დამთავრდება და ტრავმას ბოლომდე არ მოვირჩენ, ჩამოსვლას არ ვაპირებ. ჩემთან ერთად „ოლიმპიას" კიდევ ორ მოთამაშეს აქვს ტრავმა, ხოლო აქაური წესით, მატჩის მსვლელობისას სათადარიგოთა სკამზე თუ მინიმუმ 10 მოთამაშე არაა, გუნდი ჯარიმდება. ჰოდა, მე და ტეემუ რანიკოც ვსხედვართ სკამზე, მაგრამ „ოლიმპიას" ვერ ვეხმარებით.

**— არადა, ყველაზე მეტად ახლა უნდა ჭირდებით გუნდს...**

— რა თქმა უნდა, ჩემპიონობამდე ხომ ერთი ნაბიჯიღა გვაშორებს. რანიკო გუნდის ლიდერია, მეც ჩემს საქმეს ვაკეთებ და „ოლიმპიას" ძალიან სჭირდება ჩვენი დახმარება. „ჰელიოსმა" პირველი მატჩი უკვე მოგვიგო. თანაც მას მოედნის უპირატესობა აქვს.

**— რას აპირებ სეზონის შემდეგ, ისევ „ოლიმპიაში" დარჩები?**

— ლიუბლიანელებს კონტრაქტით კიდევ ერთი წელი ვეკუთვნი, თუმცა რა როგორ იქნება, არ ვიცი. ჯერ ისიც არაა გარკვეული, „ოლიმპია" დაიშლება თუ დარჩება. ფინანსური კრიზისი გრძელდება და თუ არ გამოსწორდება, ყველაფერს გავაკეთებ, რომ სხვა გუნდი მოვნახო.

**— საქართველოს ეროვნული ნაკრები სრული შემადგენლობით ივლისის შუა რიცხვებში იკრიბება. მოასწრებ გამოჯანმრთელებას?**

— არ ვიცი. მინიმუმ კიდევ ერთი თვე ვერ ვივარჯიშებ და მერე რა იქნება, ვნახოთ. საქართველოში ისე არ მინდა ჩამოსვლა, სანამ ტრავმას ბოლომდე არ მოვიშუშებ. იმედი მაქვს, რომ აგვისტომდე ყველაფერი კარგად იქნება და ნაკრებს დავეხმარები.

**ირაკლი ბერტაია**

# ცინცაძე ჩემპიონია

## ესტონეთში როკს უსმენენ



**ქართველ** ლეგიონერთაგან ამ სეზონში პირველი ჩემპიონი გიორგი ცინცაძე გახდა. მისმა „როკმა" ესტონეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში ტალინური „კალევი" დაამარცხა. ტარტუელებმა სერიის მეექვსე შეხვედრა სტუმრად ჩაატარეს და საქმე მეშვიდე, გადამწყვეტ მატჩამდე არ მიუყვანიათ — 82:72 იმარჯვეს და ჩემპიონობა გაინაღდეს.

ცინცაძეს ამ ტიტულის მოპოვებაში სანახევრო წილი მიუძღვის. მან ფინალური სერიის საწყისი სამი მატჩი ითამაშა, თუმც დაშავდა და ოქროსთვის ბრძოლას გამოეთიშა. სამწუხარო ისაა, რომ გიორგი თამაშისას კი არ დაშავდა, არამედ მისი დასრულების შემდეგ. ფინალური სერიის მესამე მატჩი „როკერებმა" ბოლო წამზე ქულით მოიგეს, გამარჯვების ბურთის ჩამგდებმა პასი სწორედ ქართველისგან მიიღო და გახარებულმა თანაგუნდელებმა ცინცაძე ზედახორაში დააშავეს.

მას მერე ცინცაძე მოედანზე აღარ გამოჩენილა, თუმც მისმა თანაგუნდელებმა წარმატებით გააგრძელეს ოქროსთვის ბრძოლა და აი, გუშინწინ გაიხარეს კიდეც. „როკმა" ტალინში დიდი გართულებების გარეშე მოიგო და კარგად დაწყებული მატჩი აუღელვებლად მიიყვანა გამარჯვებამდე. ეგებ დაგაინტერესოთ და, „როკერთაგან" საუკეთესო ტანელ ტეინი გახდა 17 ქულით.

**ირაკლი ბერტაია**

PLAYOFFS 2007

29 მაისი

# აღმოსავლეთის ფინალი

## დეტროიტი 2:2 კლივლენდი

**კლივლენდი 91:87 დეტროიტი**

**კლივლენდი:** პავლოვიჩი (5), პიუზი (2), ჯეიმსი (25 ქულა, 11 პასი, 7 მოხსნა), გუდენი (19), ილგაუსკასი (9); გიბსონი (21), მარშალი (7), ვარეჟაო (2), სნოუ (1), ჯონსი

**დეტროიტი:** ბილაფსი (23), ჰამილტონი (19), პრინსი (15), ვოლესი (9), ვებერი (2); მაკდაიესი (12), მაქსეილი (4), ჰანტერი (3), დელფინო, მიურეი



რაშიდ ვოლესს ყვირილი ტექნიკურ ჯარიმად და გუნდის წაგებად დაუჯდა

AFP ფოტოქრონიკა

# ნუ ყვირი, რაშიდ!

## ლებრონმა ტექნიკურად მოგებაც ისწავლა

**ბობოლა** გუნდების — „დალასისა" და „მაიამის" პირველივე წრიდან გავარდნით წამურდლულ ამ ჩვენს პლეი ოფს უკვე ბევრმა ათწლეულში ყველაზე უინტერესო უწოდა. სერიებში იშვიათად მიდის საქმე მეშვიდე მატჩამდე — როგორც წესი, ერთი გუნდი დიდი გართულების გარეშე უგებს მეორეს და პლეი ოფიც დიეტური სასადილოს უმარილო კერძს ემსგავსება.

ეს სერია კი იშვიათი გამონათებაა და შეიძლება ითქვას, „დეტროიტი" — „კლივლენდის" ჯახი „ფინიქს" — „სან ანტონიოს" შემდეგ ყველაზე დაძაბული და დრამატულია. ლებრონ ჯეიმსის „კავალერია" არაფერს უთმობს 2004 წლის ჩემპიონ და 2005-ის ვიცე-ჩემპიონ „დეტროიტს". ყველა თამაში უმცირესი სხვაობით მთავრდება.

დრამატული გამოვიდა მეოთხე ჯახიც, რომელშიც ლებრონიანებმა გამოცდილი მოწინააღმდეგეები მეოთხე მეოთხედში დააკალათეს. თავად ჯეიმსსაც ერთ-ერთი საუკეთესო თამაში ჰქონდა, განსაკუთრებით ბოლო მეოთხედი, რომელშიც მან 13 ქულა, 4 მოხსნა და 3 პასი გააკეთა. გუნდის 22 წლის ლიდერს მხარი თამამად აუბა დანიელ გიბსონმა, რომელმაც 12-დან 12 საჯარიმო ჩაუგდო „დეტროიტს", სულ კი ერთწლიან კარიერაში უბევრესი, 21 ქულა მოიხვეჭა.

ბოლო მეოთხედი მთლად გიჟური გამოვიდა. პერიოდის მეოთხე წუთზე რაშიდ ვოლესმა ორქულიანით 77:74 დააწინაურა „დეტროიტი", შემდეგ კი კლივლენდელთა ჯერი დადგა და მათ ზედიზედ 6 ქულა გააკეთეს. შლეგი ვოლესი პირველად როდი გამოვიდა მწობრიდან. მას ისედაც არ მისდიოდა თამაში და ერთ ეპიზოდში რაღაცაზე თუ ვიღაცაზე, უფრო კი საკუთარ შეცდომაზე გულმოსულმა ღრიალი ატეხა და მსაჯს ტექნიკური შენიშვნა დასტყუა (უკვე მეხუთე მიმდინარე პლეი ოფში). ჯარიმა „დეტროიტის" მწვრთნელმა ფლიპ სანდერსმა გაასაჩივრა, აქაოდა, რაშიდმა თანაგუნდელ რიპ ჰამილტონს უყვირაო, მაგრამ ნათქვამი მსაჯებმა არ გადათქვეს. ცოტა ხანში „კლივლენდი" 8 ქულით გაიჭრა — 87:79, მაგრამ უქმად არც „დეტროიტი" მდგარა. სტურმებმა 85:88 შეამცირეს სხვაობა და საფინალო სირენამდე 4,7 წამით ადრე დეტროიტელმა ანტონიო მაკდაიესმა ორამდეც მიაახლოვა თავისი გუნდი მეტოქეს — 97:89.

მაგრამ ამის იქით „დეტროიტი" ველარ წავიდა. ანგარიშს წერტილი ისევე ლებრონ ჯეიმსმა დაუსვა, რომელიც არასდროს გაურბოდა ლიდერობის თავზე აღების პასუხისმგებლობას და ახლაც თავად ითხოვა ბურთი. მასზე დაჯარიმდნენ და ლებრონმაც ორივე ჩააგდო.

**კოტე ყორშია**

# ძველი დაინგრევა, ახალი აშენდება

## მთავარია, კმაყოფილი მარტო ინვესტორი არ დარჩეს



სპორტის დეპარტამენტში მისულმა ქალაქის მერმა დეპარტამენტის თავმჯდომარესთან ერთად ქართული სპორტის დიდების მუზეუმიც დაათვალიერა

**გუშინ** სპორტის დეპარტამენტში ქალაქის მერი გიგი უგულავა, ვიცე-მერი გიორგი მელაძე და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური ჟურნალისტებს და სპორტის სხვადასხვა სახეობათა ფედერაციების პრეზიდენტებს შეხვდნენ.

შეხვედრის მიზანი მერიის მიერ შემუშავებული პროექტის საზოგადოებისთვის გაცნობა იყო. სიახლე ითვალისწინებს სპორტული ცენტრების ინვესტორისთვის გადაცემას, სანაცვლოდ კი ასევე მერიისგან გამოყოფილ ფართზე ინვესტორი ვალდებულებას იღებს, სპორტული კომპლექსი ააშენოს და 10 წლის მანძილზე შეუნარჩუნოს პროფილი. დაინტერესებული ბიზნესმენის მოგება ის არის, რომ მას საკუთრებაში რჩება როგორც ძველი კომპლექსის ადგილი, ასევე ქალაქის მუნიციპალიტეტისგან გადაცემული ფართი. 5-დან 15-წლამდე ნიჭიერ სპორტსმენებს ქლაქის მთავრობა საშუალებას აძლევს, უფასოდ ივარჯიშონ, კრიტერიუმების შეფასება მოხდება სპორტის ფედერაციისა და სპორტულ სკოლებში ნორმატივების ჩატარების საფუძველზე. სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვებიც უფასოდ ივარჯიშებენ.

*გიგი უგულავა:* „მინდა, წარმოგიდგინოთ პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს თბილისის და შეძლებისდაგვარად რეგიონების სპორტული სკოლების რეაბილიტაციას. ჩვენ საკმაოდ დიდი თანხა დავხარჯეთ იმისთვის, რომ სკოლები კეთილმოგვეწყო, თუმცა პრობლემები კვლავ ბევრია. ამიტომაც შევიმუშავეთ პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს მთელი თბილისის მასშტაბით სპორტული სკოლების აშენებას. კომპლექსები, რომელთა აღდგენაც მოხერხდება, დარჩება, ხოლო უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი სკოლები დაინგრევა და მათ ნაცვლად სხვა აიგება. ინვესტორს ყველა პირობა ექნება იმისთვის, რომ პროექტით დაინტერესდეს. განსაკუთრებით იმ ხალხს მოვუწოდებ, რომელთაც სპორტი უყვართ. ისინი ორ საქმეს გააკეთებენ, სპორტს დაეხმარებიან და ფინანსურ მოგებას ნახავენ. ისე უნდა მოხდეს, რომ სპორტული სკოლა ყველგან იყოს და, ვთქვათ, ავჭალელ მოზარდს ქალაქის ცენტრში არ მოუხდეს წასვლა.

ასევე დავაფინანსებთ ბავშვებს, ტურნირებს და სპორტის იმ სახეობებს, რომელიც არ ფინანსდება და მნიშვნელოვანია. ყველაფერი ეს გამოასწორებს მწვრთნელთა მდგომარეობასაც, რაც სასიცოცხლოდ აუცილებელია."

ამის შემდეგ სიტყვა ვიცე-მერმა *გიორგი მელაძემ* აიღო: „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ პროექტის საკეთილდღეოდ. მზად ვართ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს მოვუსმინოთ. პროექტი ხორცშესხმას ერთ თვეში დაიწყებს."

**ლექსო მაისურაძე**

რაგბი

# ედინბურგში ლონდონი ჩანს, თბილისში კი მოსკოვი

**ხვალ და ზეგ** საქართველოს შვიდკაცა ნაკრები მსოფლიოს სერიის ედინბურგის ტურნირზე ირაგბებს. იქამდე ქართველებმა ევროპის პოლონურ ეტაპზე იშვიდკაცეს და ოდენ ფინალი წააგეს ფრანგებთან. მსოფლიოს სერიის ლონდონის შვიდკაცაზე კი ყველა მატჩში დამარცხდნენ და უქულოდ დარჩნენ.

ედინბურგში ჩვენებს ალბათ ლონდონური შედეგი ელოდებათ, რაკი ჯგუფში ალიარებულ მოშვიდკაცეებთან, ახალზელანდიელებთან, ინგლისელებთან და არგენტინელებთან მოხვდნენ. თასისთვის და სარეიტინგო ქულებისთვის ჯგუფის პირველ-მეორე ადგილოსნები იბრძოლებენ. ჯგუფში ჩარჩენილი ორი გუნდი კი პრესტიჟისთვის პლეი აუტში ითამაშებს.

ხვალ ჯგუფური ეტაპია, ზეგ კი — პლეი ოფი. ჩვენების განრიგი ასეთია:

2 ივნისი

**საქართველო-ინგლისი**

**საქართველო-ახ. ზელანდია**

**საქართველო-არგენტინა**

ლონდონიდან ქართველები თბილისში დაბრუნდებიან და 9-10 ივნისს გასამართი ევროპული შვიდკაცას თბილისური ეტაპისთვის მოემზადებიან. ტურნირი უკვე მეხუთედ იმართება, აქედან ოთხჯერ თბილისში ჩატარდა და ერთხელ — ბათუმში, მაგრამ ზღვისპირეთში შვიდკაცობამ არ გაამართლა. ევროპული სერიის ხუთი ქართული ეტაპიდან ოთხი ჩვენებმა მოიგეს, ერთხელ კი, შარშანწინ, ფინალში საფრანგეთთან დამარცხდნენ.

თუ თბილისში ქართველებმა ფინალში ითამაშეს, საკმარის სარეიტინგო ქულებს დააგროვებენ, ერთი კვირის თავზე ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე რომ ითამაშონ. ფინალური ეტაპი ტრადიციულად მოსკოვში გაიმართება.

**ბაჩო სვანიძე**



ჭიდაობა



# თურქეთი სერბული თვალით გაიზომა

**იზმირის საერთაშორისო ტურნირიდან რვა მედლით დაბრუნებულ ახალგაზრდულ ნაკრებებს საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ საგანგებო პრესკონფერენცია მოუწყო. თურქულ პირველობაზე და მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზე ფედერაციის პრეზიდენტმა კახა გეწაძემ, თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა და ბერძენ-რომაელთა თავკაცმა ლადო ადეიშვილმა ისაუბრეს. დარბაზში კი მასმედიის გარდა იზმირის ტურნირის ჩემპიონ-პრიზიორებიც ისხდნენ**



ლადო ადეიშვილი



ნუგზარ სხირელი

*კახა გეწაძე:* ევროპის ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ციკლში ბოლო ტურნირზე ასეთი შედეგის ჩვენება განსაკუთრებით სასიხარულოა. იზმირში არა მარტო ჩვენ, ყველა ქვეყნის ნაკრები განსაკუთრებული შემართებით გამოვიდა. სულ თოთხმეტმა ქვეყანამ ჩამოიყვანა გუნდი. თან ისეთებმა, ჭიდაობაში თავიანთი სიტყვა რომ ეთქმით. ორივე სტილის ნაკრებმა ოთხ-ოთხი მედალი მოიპოვა. აქედან სამი ოქროს, ორი ვერცხლის და სამიც ბრინჯაოსი. ამ ასაკის ნაკრებები ბოლო წლებში მშვენიერ შედეგებს აჩვენებენ და მჯერა, გამონაკლისი არც მომავალი ევროპირველობა იქნება. მერე კი მას მსოფლიოს ჩემპიონატიც მოჰყვება.

*ნუგზარ სხირელი:* ამ ტურნირამდე საერთო ფიზმომზადების შეკრება გავიარეთ, წინ კიდევ სრულყოფილი შეკრება გვაქვს და ამ შუალედში მიღწეული შედეგით კმაყოფილი დავრჩი. თურქეთში ძლიერი მოჭიდავეები შეიკრიბნენ და ტურნირში მონაწილეობა ამ მხრივაც სასარგებლო იყო, თუმცა ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი ამოცანა მაინც საევროპე გუნდის დაკომპლექტებაა. ძირითად საზომად საქართველოს ჩემპიონატს კი მივიჩნევთ, მაგრამ სერბეთში ისეთებიც წამოვლენ, საქართველოს პირველობაზე ჩემპიონები რომ ვერ გახდნენ. მაგალითად, გიორგი ედიშერაშვილს (55 კგ) მოვიყვან. ამ ბიჭმა შიდა ფინალი მონეტის აგდებით დათმო, მაგრამ საერთაშორისო ტურნირებზე ისე იჭიდავა, ევროპულ შემადგენლობაში მოხვედრას აშკარად იმსახურებს. თავისი წონის ლიდერია გოჩა ლომთათიძეც (74 კგ). კარგად იჭიდავა ლევან მეტრეველმაც (50 კგ), რომელმაც ფინალში წააგო. ბრინჯაოს პრიზიორ გიორგი ნიკურაძისგან (120 კგ) კი უკეთეს შედეგს ველოდი. იგი ევროპის ჩემპიონი და მსოფლიოს პრიზიორია. ამჯერად ხელი ალბათ იმანაც შეუშალა, რომ ტურნირის წინა დღეებში შეუძლოდ იყო, მგზავრობისას გაცივდა. ახლო მომავალში შემადგენლობა მთლიანად გაირკვევა და გუნდიც უფრო დაიხვეწება.

*ლადო ადეიშვილი:* ევროპის ჩემპიონატამდე ერთ ტურნირს კიდევ ვგეგმავთ. მომავალ უქმეებზე ერევანში ნაკრების იმ კანდიდატებს გამოვცდი, რომლებსაც იზმირში არ უჭიდავიათ. რვა წონიდან ოთხში უკვე გარკვეულია ჩემპიონატზე წამსვლელები. ამიტომ ამ წონებში სომხეთში შედარებით უმცროსებს დავაყენებთ, სამომავლო საქმეც რომ გავაკეთოთ. დანარჩენ ოთხ წონაში ლიდერები ერევნის შემდეგ გამოიკვეთებიან.

დასკვნით შეკრებას ახალგაზრდული ნაკრებები თბილისში 12 ივნისს დაიწყებენ. ევროპის ჩემპიონატი კი ბელგრადში 27-30 ივნისს გაიმართება.

**ოთარ მაღლაკელიძე**

# მაია ჩიბურდანიძე: ძველი მეთოდები არ ძველდება

გუშინწინ ეკატერინბურგში ქალთა დასრულებული მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ყველაზე ტიტულიანი მონაწილე მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მაია ჩიბურდანიძე იყო. ქართველმა დიდოსტატმა 8 მატჩი ჩაატარა, საიდანაც ორი მოიგო, ხუთი ყაიმით დაასრულა და ერთი წააგო. მაიას ჩემპიონატის დასრულების შემდეგ რუსი ჟურნალისტები ესაუბრნენ



**— რა შთაბეჭდილებები დაგიტოვათ ჩემპიონატმა?**

— მეოთხე ადგილი ავილეთ, თუმც მეტიც შეგვეძლო.

**—სად არის უდიდესი ქართული საჭადრაკო სკოლა? ისევ აღორძინდება?**

—რა თქმა უნდა. ჩვენ ახალ ტალანტებს ვამზადებთ და მალე მათ სახელს მსოფლიოც გაიგებს. მოხდა თაობათა ცვლა, რაც მარტივი არ არის. როგორც ჩანს, ჩვენგან ესტაფეტა ჩინელებმა მიიღეს, ახლა ისინი ისეთ შედეგებს აჩვენებენ, როგორც ერთ დროს საბჭოთა მოჭადრაკეები.

**— რა შეგიძლიათ თქვათ ჩინელ მოჭადრაკეებზე?**

— მათთან ყველაფერი აწყობილია. დედაქალაქში საუცხოო საჭადრაკო ცენტრი აქვთ, თანაც რეგიონებიდანაც მოჰყავთ ნიჭიერი ბავშვები და გამოცდილ სპეციალისტებთან ამზადებენ.

**— როგორია მათთან თამაში, ვინც თქვენს პარტიებზე გაიზარდა?**

— ვთამაშობ ჩემზე 20-25 წლით უმცროს გოგონებთან და მათში დიდ სტიმულს ვხედავ. ვფიქრობ, საინტერესოა.

**— კომპიუტერს რა სიხშირით იყენებთ?**

— სამი წლის წინ სულ არ ვეკარებოდი, ახლა კი იშვიათად მივუჯდები ხოლმე. მეცადინეობა მაინც ძველი მეთოდები მირჩევნია, წიგნებით, მწვრთნელთან და საკუთარ თავთან.

**—არ გსურთ, რომ ასწავლოთ, ბევრი ალბად ნატრობს თქვენნაირ მასწავლებელს?**

— ჯერჯერობით ბევრი რამ არ ვიცი. ასე რომ, მე თვითონ ისევ ვსწავლობ.

# კამსკიმ ბაკრო გაიტანა

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 14 ივნისი. პირველი ეტაპი

III ტური

| | | |
|---|---|---|
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 1:0 (1,5:1,5) | ლევონ არონიანი (სომხეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0 (2,5:0,5) | მიხაილ გურევიჩი (თურქეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0,5:0,5 (1,5:1,5) | რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) |
| რუსლან პონომარიოვი (უკრაინა) | 0:1 (1:2) | სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 1:0 (2,5:0,5) | ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 0,5:0,5 (2:1) | ვლადიმირ მალახოვი (რუსეთი) |
| იუდიტ პოლგარი (უნგრეთი) | 0,5:0,5 (1:2) | ევგენი ბარეევი (რუსეთი) |
| მაიკლ ადამსი (ინგლისი) | 0,5:0,5 (1,5:1,5) | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |

**პეტერ ლეკომ** და გატა კამსკიმ მესამე ტურში თავ-თავიანთი შეხვედრები მოიგეს და საქმეც წინ წაიგდეს. დარჩენილ სამ ტურში მომდევნო ეტაპზე გასასვლელად მათ თითო ქულაც ჰყოფნით და ამ ქულის მოპოვება ალბათ არც გაუჭირდებათ.

ყველა გააოცა მაგნუს კარლსენმა. 16 წლის ვიკინგმა მსოფლიოს თასის მფლობელი ლევონ არონიანი დაამარცხა და სერიაში ანგარიში გაათანაბრა.

კარლსენმა ინგლისური დებიუტი გაითამაშა, ჯერ მხედარი გამოიყვანა წინ და მერე g2 უჯრაზე კუ სნაიპერივით დასვა. ნორვეგიელმა არონიანს ცენტრიდან პაიკებით შეუტია, ფლანგი გაახსნევინა და ხელმწიფის მხარეს მძიმე ძალები გაუშვა. პატარ-პატარა დარტყმებით კარლსენმა შავ მეფეს დაცვის კედელი მიუნგრია, ეტლით შეუვარდა და 41-ე სვლაზე დაამათა.

ყაიმით დაასრულა პარტია ტურნირის ერთადერთმა ქალბატონმა იუდიტ პოლგარმა. იგი რუს ევგენი ბარეევს 56-ე სვლაზე დაუზავდა და სერიას კვლავაც ერთი ქულით აგებს.

**ლაშა გეგეჭკორი**

ბიატლონი

# ბალკანური ლეგენდის დასასრული

**ამ სიცხეში,** აბა, ბიატლონი რა სახსენებელია, მაგრამ ერთი ისეთი ამბავი გავრცელდა, აუცილებლად უნდა ვთქვათ. დიდი სპორტიდან წასვლის შესახებ განცხადება გააკეთა 1998 წლის ნაგანოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა 15 კილომეტრიან დისტანციაზე, ბულგარელმა ეკატერინა დაფოვსკამ.

მერე და რა მოხდაო, კაცმა შეიძლება თქვას, თან საქართველოში და თან ამ გაგანია სიცხეში, მაგრამ ეს ჩვენთვის არის დაფოვსკა ვიღაც, ხოლო ბულგარელებისთვის და სრულიად ბალკანეთისთვის ის ლეგენდარული ქალია. მის მეტი ოქროს მედალი ზამთრის ოლიმპიადებზე ბულგარეთისთვის არავის მოუპოვებია და იმ, მისთვის ტრიუმფალურ 1998 წელს დაფოვსკა სრულიად ბალკანეთის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს.



ბოლო წლებში ბალკანელ კატიას მარცხენა მხრის ქრონიკული ტრავმა აწუხებდა. ოპერაციაც გაუკეთეს, მაგრამ ძველებურად, ვერც თხილამურებზე იდგა და ვერც შაშხანას იჭერდა. ამიტომაც 31 წლის ასაკში წასვლა გადაწყვიტა.

2007 წლის ზამთრის სეზონის დასრულებიდან სამიოდე თვე არის გასული და დიდ ბიატლონს, უკვე მესამე სახელოვანი სპორტსმენი ტოვებს. უფრო ადრე წასვლა დიადებმა — ფრანგმა რაფაელ პუარემ და გერმანელმა სვენ ფიშერმა ბრძანეს.

ჩოგბურთი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თინა ყავლაშვილს ყავლი არ გასვლია

**სტამბოლურ** თიხნარზე, სადაც ITF-ის ეგიდით ქალთა 10-ათასიანი საჩოგბურთო ტურნირი მიმდინარეობს, მეორე წრეში გასულ სამ ჩვენებურს მეოთხეც შეუერთდა — სოფო შაფათავას, მანანა შაფაქიძესა და სოფო ქვაცაბაიას შემდეგ შეჯიბრის პირველი ბარიერი თინა ყავლაშვილმაც დაძლია.

თინა ყავლაშვილი სამი წლის წინ, 17 წლის ასაკში WTA-ს რეიტინგის 570-ე ნომერი იყო, მაგრამ შემდეგ კორტებიდან გაქრა და აქტიურ სპორტს წლეულსლა დაუბრუნდა. საკმაოდ წარმატებითაც — რამდენიმე კვირის წინ, თურქულ ანთალიაში ჩატარებული 25-ათასიანი ტურნირების სერიალზე თინამ რამდენჯერმე გაიარა საკვალიფიკაციო ბარიერი და ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვა. ყავლაშვილმა სტამბოლშიც კვალიფიკაციიდან დაიწყო და ძირითადი შეჯიბრის პირველ წრეში კი 6:2 6:4 დაჯაბნა ტურნირზე „ვაილდ ქარდით" მიწვეული ნორჩი ავსტრალიელი ჯეიდ ჰოპერი.

მეორე წრეში თინა ასევე კვალიფიკაციიდან წამოსულ 19 წლის სლოვენიელ მაია კამბიჩს შეხვდება, რომელმაც პირველ მეტოქეს, მე-6 ნომრად განთესილ რუს ავგუსტა ციბიშევას ტაიბრეიკებზე წარმატებული თამაშით 7:6 7:6 მოუგო.

ოლიმპიზმი

# როგი ავსტრიელებს სჯის და ამშვიდებს

**ახლოვდება** 2014 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქის არჩევნების დღე და ამ საქმის მოსურნე — პიონჩანის, სოჭისა და ზალცბურგის მესვეურთა გულისფანცქალიც მატულობს. ამათგან განსაკუთრებით სანერვიულოდ გახდომიათ საქმე ზალცბურგელებს, რადგან არჩევნებამდე ექვსიოდე კვირით ადრე ავსტრიის ოლიმპიურ კომიტეტს (აოკ) საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან (სოკ) მკაცრი სასჯელი დაატყდა. ეს სასჯელი ერთ მილიონ დოლარიან ჯარიმაში გამოიხატება, რაც ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე მათ ძალზე გახმაურებულ დოპინგსკანდალს უკავშირდება.

შეგახსენებთ, რომ ტურინში იტალიის პოლიციამ ავსტრიულ ბანაკში, სადაც მოთხილამურეები და ბიატლონისტები იყვნენ დაბინავებულნი, შპრიცები და სისხლის გადასხმის სისტემები აღმოაჩინა.

ერთი თვის წინათ ამ საქმეში გარეული ექვსი მოთხილამურე და ბიატლონისტი სამუდამო დისკვალიფიკაციით დასაჯეს, ახლა კი მათ იმ მილიონიანი ჯარიმით თავად ავსტრიის ოლიმპიური კომიტეტიც მიაყოლეს. ამასთან, ავსტრიელთა განკარგულებაში რჩება წელიწადი, რათა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს გამოძიების შედეგები აცნობონ და გუნდის წევრთა ბრალეულობაც განსაზღვრონ. ალბათ იმის შიშითაც, რომ ეს ყოველივე ცუდად იმოქმედებს ზალცბურგის შანსებზე, ავსტრიელებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს. გუშინწინ ავსტრიის ოლიმპიურმა კომიტეტმა მისი პრეზიდენტის ლეო ულნერის თავმჯდომარეობით საგანგებო აღმასკომის სხდომა გამართა და ავსტრიის სათხილამურო სახეობების ფედერაციის 14 წევრი მკაცრად დასაჯა. კერძოდ, თოთხმეტივე შერისხულს ყველა მომდევნო „თეთრ" ოლიმპიადაზე რაიმე ფორმით მონაწილეობა აუკრძალა. დასჯილებს ვერც „ზაფხულის" სახეობებში გადართვა უშველით, რადგან ვერდიქტი „მწვანე" ოლიმპიადებზეც ვრცელდება.

აღმასკომის სხდომაზე ასეთი სასჯელი იგუმანა ავსტრიის სათხილამურო სპორტის ფედერაციის მეთაურმა პეტერ შროკსნადელმა, რომელიც იმავდროულად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობას ასრულებდა და ამ პოსტზე თავადვე თქვა უარი. მისი აზრით, ამგვარი ნაბიჯით იგი ზალცბურგს „თეთრი ოლიმპიადის" მიღებაში დაეხმარება.

„როგორც ჭეშმარიტი ავსტრიელი, ჩვენს გასამართლებლად მე ყველაფერს ვაკეთებ. ამიტომაც არ მინდა, რომ ზალცბურგის სამასპინძლო განაცხადს წინ გადავეღობო" — თქვა პეტერ შროკსნადელმა.

ყოველივე ამასთან დაკავშირებით ავსტრიის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები შიშობენ, რომ ეს სკანდალური ამბები ზალცბურგის შანსებზე უარყოფითად იმოქმედებს, თუმცა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი მათ დამშვიდებას ცდილობს, სანქციები ზალცბურგის საოლიმპიადო შანსებზე გავლენას არ იქონიებსო.

**ავთანდილ ტყვიშელი**

# როლან გაროსი 2007

პარიზი. 27 მაისი — 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €



რიშარ გასკეს მარცხის შემდეგ გაელ მონფილსი ფრანგების მთავარი იმედია

### კაცები

#### პირველი წრე

**ნოვაკ ჯოკოვიჩი** (6, სერბეთი) — ხერალდო სანტიაგო (კოლუმბია) 6:3 7:6 6:4; **დიეგო ჰარტფილდი** (არგენტინა) — რობი ჯინეპრი (აშშ) 6:4 1:6 5:7 6:4 6:2; **დავიდ ფერერი** (12, ესპანეთი) — დანიელე ბრაჩიალი (იტალია) 6:1 6:1 6:2; **კარლოს მოია** (23, ესპანეთი) — ანდრეა სეპი (იტალია) 6:1 3:6 6:2 2:6 6:0; **გილიერმო გარსია-ლოპესი** (ესპანეთი) — ტომაშ ბერდიხი (19, ჩეხეთი) 7:5 6:4 6:4; **ფლავიო ჩიპოლა** (იტალია) — თეიმურაზ გაბაშვილი (რუსეთი) 7:6 6:3 5:2 (უარი); **ოსკარ ერნანდესი** (ესპანეთი) — ხუან პაბლო გუზმანი (არგენტინა) 7:6 6:0 6:2; **ივო კარლოვიჩი** (ხორვატია) — ჯეიმს ბლეიკი (8, აშშ) 4:6 6:4 7:5 7:5; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — ვინსენტ სპადეა (აშშ) 2:6 6:4 6:4 6:3; **მარიანო ზაბალეტა** (არგენტინა) — აგუსტინ კალერი (26, არგენტინა) 6:4 6:7 7:6 7:5; **იონას ბიორკმანი** (შვედეთი) — პეტერ ლუჩაკი (ავსტრია) 6:7 5:7 6:3 6:3 6:1; **ფლორიან სერა** (საფრანგეთი) — იგორ კუნიცინი (რუსეთი) 6:3 6:0 6:2; **ლორან რეკუდერი** (საფრანგეთი) — სემ ქუერი (აშშ) 7:6 2:6 6:0 6:7 6:3

#### მეორე წრე

**მიხაილ იუჟნი** (13, რუსეთი) — ნიკოლას ლაპენტი (პერუ) 6:3 6:0 6:4; **ტომი რობრედო** (9, ესპანეთი) — კონსტანტინ ეკონომიდისი (საბერძნეთი) 6:4 7:5 6:4; **იანკო ტიპსარევიჩი** (სერბეთი) — მარატ საფინი (22, რუსეთი) 6:4 6:4 7:5; **ნიკოლაი დავიდენკო** (4, რუსეთი) — ვერნერ ეშაუერი (ავსტრია) 7:5 6:3 6:1; **კრისტოფ ვლიგენი** (ბელგია) — რიშარ გასკე (11, საფრანგეთი) 7:6 6:3 6:1; **გილიერმო კანასი** (19, არგენტინა) — სიმონე ბოლელი (იტალია) 6:4 6:3 6:3; **პოტიტო სტარაჩე** (იტალია) — კარლოს ბერლოკი (არგენტინა) 6:2 6:4 6:2; **ხუან მონაკო** (არგენტინა) — იურგენ მელცერი (27, ავსტრია) 6:2 6:3 6:2; **ხუან-კარლოს ფერერო** (17, ესპანეთი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4 7:5 6:3; **მიშელ ლოდრა** (საფრანგეთი) — ნიკოლას ალმაგრო (32, ესპანეთი) 2:6 6:2 6:7 6:4 6:4; **გაელ მონფილსი** (საფრანგეთი) — ხუან-იგნასიო ჩელა (18, არგენტინა) 3:6 6:3 6:3 6:1; **ედუარდ როჟე-ვასელენი** (საფრანგეთი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი) 3:6 6:1 0:6 6:4 6:4; **დავიდ ნალბანდიანი** (15, არგენტინა) — ივან ნავარო პასტორი (ესპანეთი) 7:5 6:4 6:4; **როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — ტიერი ასიონე (საფრანგეთი) 6:1 6:2 7:6; **ფილიპო ვოლანდრი** (29, იტალია) — მარტინ ვასალო არგუელო (არგენტინა) 7:6 7:5 6:2

### ქალები

#### პირველი წრე

**ანა ივანოვიჩი** (7, სერბეთი) — სოფია არვიდსონი (შვედეთი) 6:2 6:0; **სანია მირზა** (ინდოეთი) — ალბერტა ბრიანტი (იტალია) 6:1 6:1; **ტატიანა პუჩეკი** (ბელარუსი) — იულია ფედოსოვა (საფრანგეთი) 6:3 6:2; **იოანა ოლარუ** (რუმინეთი) — იულია ვაკულენკო (30, უკრაინა) 6:4 6:1; **ანაბელ მედინა გარიგესი** (24, ესპანეთი) — ვარვარა ლეპჩენკო (უზბეკეთი) 6:1 2:6 6:2; **ელენა ლიხოვცევა** (რუსეთი) — იუნ-იან ჩენი (ტაივანი) 4:6 7:5 6:3; **ოლგა პუჩკოვა** (რუსეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 7:5 0:6 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (12, სლოვაკეთი) — ელენა კოსტანიჩ-ტოსიჩი (ხორვატია) 6:3 6:1; **შაჰარ პეერი** (13, ისრაელი) — კაია კანეპი (ესტონეთი) 6:1 6:3; **ედინა გალოვიცი** (რუმინეთი) — ვასილისა ბარდინა (რუსეთი) 6:0 4:0 (უარი); **ვერა დუშევინა** (რუსეთი) — კამილ პენი (საფრანგეთი) 6:4 6:4; **კატარინა სრებოტნიკი** (17, სლოვენია) — ანასტასია როდიონოვა (რუსეთი) 6:1 6:3; **მარტინა მიულერი** (32, გერმანია) — როზანა დე ლოს რიოსი (პარაგვაი) 6:4 6:4; **მეგან შონესი** (აშშ) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:1 6:0; **სვეტლანა კუზნეცოვა** (3, რუსეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:0 6:3; **ამელი მორესმო** (5, საფრანგეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:0 7:5; **ნატალი დეში** (საფრანგეთი) — კაროლინ ვოზნიაკი (დანია) 6:2 6:7 6:0; **ფლავია პენეტა** (იტალია) — ნიკოლ პრატი (ავსტრალია) 7:6 6:2; **ლუსი შაფაროვა** (25, ჩეხეთი) — იულია ბეიგელზიმერი (უკრაინა) 6:4 6:3; **აი სუგიამა** (21, იაპონია) — ევა ბირნეროვა (ჩეხეთი) 6:3 6:4; **მეილენ ტუ** (აშშ) — რომინა ოპრანდი (იტალია) 6:3 6:4; **აგნეს სავაი** (უნგრეთი) — ენ კრემერი (ლუქსემბურგი) 7:5 6:2; **ანა ჩაკვეტაძე** (9, რუსეთი) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:2 6:3; **პატი შნიდერი** (14, შვეიცარია) — მარტინა სუხა (სლოვაკეთი) 2:6 6:1 6:2; **კატერინა ბონდარენკო** (უკრაინა) — სუზანა ონდრაშკოვა (ჩეხეთი) 6:0 6:1; **კარინ კნაპი** (იტალია) — ვიქტორია აზარენკა (ბელარუსი) 6:1 6:1; **ალიონა ბონდარენკო** (22, უკრაინა) — ივეტა ბენეშოვა (ჩეხეთი) 6:0 6:1; **გიზელა დულკო** (29, არგენტინა) — სუ-ვეი შიე (ტაივანი) 6:4 6:3; **ალა კუდრიავცევა** (რუსეთი) — ჯულია შრუფი (გერმანია) 6:1 6:4; **ჯილ კრეიბასი** (აშშ) — ლურდეს დომინგეს-ლინო (ესპანეთი) 6:1 2:6 6:4; **მარია შარაპოვა** (2, რუსეთი) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:3 7:6; **დომინიკა ციბულკოვა** (სლოვაკეთი) — ტიან ტიან სუნი (ჩინეთი) 6:4 6:4

#### მეორე წრე

**მარა სანტანჯელო** (29, იტალია) — ტამარინ ტანასუგარნი (ტაილანდი) 6:3 6:2; **სიბილ ბამერი** (20, ავსტრია) — ოლგა სავჩუკი (უკრაინა) 6:0 6:2; **დინარა საფინა** (10, რუსეთი) — ციპორა ობზილერი (ისრაელი) 6:1 6:0; **ფრანჩესკა შიავონე** (23, იტალია) — ტიმი ბაჩინსკი 6:3 7:6; **მიკაელა კრაიჩეკი** (ჰოლანდია) — შენეი პერი (აშშ) 6:4 5:7 6:1; **ვინუს უილიამსი** (26, აშშ) — ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 6:1 7:6; **მარიონ ბარტოლი** (18, საფრანგეთი) — ანდრეა პეტკოვიჩი (გერმანია) 0:6 6:3 6:2; **ელენა დემენტიევა** (13, რუსეთი) — მატილდა იოჰანსონი (საფრანგეთი) 7:5 7:5; **სტეფანი კოენ-ალორო** (საფრანგეთი) — კვეტა პეშკე (ჩეხეთი) 6:1 6:1; **ტატიანა გარბინი** (19, იტალია) — ნურია ლაგოსტერა-ვივესი (ესპანეთი) 6:4 6:3; **ჟუსტინ ენინი** (1, ბელგია) — ტამირა პაშეკი (ავსტრია) 7:5 6:1; **ნა ლი** (16, ჩინეთი) — პოლინ პარმენტიე (საფრანგეთი) 6:3 3:6 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (4, სერბეთი) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:3 6:3; **სამანტა სტოსური** (27, ავსტრალია) — მარია კირილენკო (რუსეთი) 6:1 3:6 7:5; **ნიკოლ ვაიდიშოვა** (6, ჩეხეთი) — აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) 6:2 6:4

# ამერიკამ პარიზში კაცობა დაკარგა

**არცთუ** ხანგრძლივი აღმოჩნდა „როლან გაროსის“ ორგანიზატორთა სიხარული — გამოიდარა და გვეშველაო. პარიზის ცა გუშინ ისევ მოიქუფრა და ჩოგბურთელებს კვლავაც რამდენჯერმე მოუწიათ გასახდელისთვის თავის შეფარება. ამის მიუხედავად, მაინც ბლომად შეხვედრა გაიმართა და მოსაყოლიც საკმაოდ დაგვიგროვდა, მაგრამ სანამ გუშინდელს შევეხებოდეთ, სამშაბათს გვიან ღამით მომხდარზეც ვთქვათ ერთი-ორ სიტყვა — ბოლოს და ბოლოს, ეს დღე მართლაც გამორჩეული იყო, რადგან ბუნების მიერ არეული გრაფიკის გამოსასწორებლად ორგანიზატორებმა გუშინწინ რეკორდული, 82 მატჩი გამართეს.

სამშაბათის ამბებიდან ტურნირის ფავორიტის დებიუტით დავიწყოთ, რომელიც საკმაოდ საინტერესო გამოდგა და გაკვრით ხსენებას მაინც იმსახურებს, რადგან რაფაელ ნადალი ჩვეულად ვერ დომინანტობდა. ესპანელს განსაკუთრებით პირველ სეტში გაუჭირდა, სადაც არგენტინელმა ხუან მარტინ დელ პოტრომ ბევრი თავსატეხი გაუჩინა „გრუნტის მეფეს“. ეგ კი არა, პატაგონიელმა კინაღამ პარტიაც მოიგო და ესპანელი ჯადო ბიჭიც მხოლოდ მაშინ მოვიდა გონს, როცა მეტოქე 5:3 დაწინაურდა. აი, აქედან მოყოლებული რაფა დაემსგავსა თავის თავს და ისე იჩოგნავა, დელ პოტრო მხოლოდ უიმედოდ ასავსავებდა ხელებს.

სხვა მხრივ კი სამშაბათმა თავი ბლომად სენსაციებით დაგვამახსოვრა. ენდი როდიკის უხეირო ჩოგნაობის შესახებ გუშინაც გაუწყეთ, დღეს ფერნანდო გონსალესის „ჩაუქობაზე“ მოგახსენებთ. პარიზში ფარული ფავორიტის სტატუსით ჩასულმა ჩილელმა ამაზრზენად იჩოგნავა და რადეკ შტეპანეკს სასტიკად გაალახვინა თავი. გამოცდილმა ჩეხმა ჭკვიანურად ითამაშა, კარგად გამოიყენა სამხრეთამერიკელის სუსტი მხარეები და მეორე წრეშიც ადვილად შეგრიალდა. როდიკის ბედი ორიოდ საათში გაიზიარა კიდევ ერთმა ძლიერმა ამერიკელმა ჯეიმს ბლეიკმა, რომელმაც მოულოდნელად ვერაფერი დაუპირისპირა აყლაყუდა ივო კარლოვიჩს. წესით, ეს ორმეტრიანი ხორვატი თიხნარზე ვერ უნდა თამაშობდეს კარგად, მაგრამ ბალკანელი სულაც არ შეუშინდა შავტუხა მეტოქეს და თავისი სუპერმოწოდებებით ბლეიკი ადვილად დაშოკა.

ისე, წლევანდელი „როლან გაროსი“ ამერიკელთათვის ძალიან უიღბლო გამოდგა. როდიკ-ბლეიკის გარდა სამშაბათს კიდევ ექვსმა იანკიმ წააგო, გუშინ რობი ჯინეპრის მარცხის შემდეგ კი პარიზს ვარსკვლავზოლებიანი დროშის ქვეშ მოთამაშე ერთი ჩოგნის მქნეველი კაციც აღარ შემორჩა. ასეთი რამ პირველად მოხდა უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში. 1972 და 1973 წლების ავსტრალიის ღია პირველობები კი ბოლო სლემტურნირებია, სადაც ამერიკელმა კაცებმა პირველი წრის დაძლევა ვერ მოახერხეს.

სენსაციების სერია არც გუშინ შეწყვეტილა. ყველაზე მთავარი მაინც მასპინძელთა უპირველესი იმედის, რიშარ გასკეს გავარდნა იყო, რომელმაც ძალიან უკბილოდ წააგო კრისტოფ ვლიგენთან. არადა, ფრანგები ბევრს მოელოდნენ ახალგაზრდა თანამემამულისგან, რომელიც ტურნირს თითქოს კარგ ფორმაში შეხვდა. მაგრამ... მასპინძლებმა ისევ სხვების ზეიმს უნდა უცქირონ.

მოჩვენებითი გამოდგა მარატ საფინის კარგი თამაშიც — პირველი წრის ადვილად გავლის შემდეგ გუშინ ისევ ჩვეული, ნერვიული საფინი ვნახეთ, რომელიც უამრავ შეცდომას უშვებდა. რუსმა, როგორც ყოველთვის, თავი მხოლოდ ჩოგნების მტვრევითლა გამოიჩინა.

სამაგიეროდ, მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა სათამაშო დღემ ქალთა შორის. ვინუს უილიამსის ჩაუქობით დავიწყოთ, რომელმაც მესამე წრეს თანამემამულე ეშლი ჰარკლროუდის დამარცხებით უწია. თუმც ამ შეხვედრაში მთავარი მოვლენა მაინც მეორე სეტის შუაწელზე მოხდა, როცა უილიამსმა ტვინსაღრძობი, 206 კმ-სთ სიჩქარით მოაწოდა, რაც რეკორდული მაჩვენებელია. აქამდე ქალთა ჩოგბურთის ისტორიაში უძლიერესი მოწოდების მფლობელი ვინუსის უმცროსი და სერენა იყო, რომელმაც შარშან ცინცინატიში 203 კმ-სთ სიძლიერით ჩააწოდა.

ამ მიღწევამ ვინუსი იმდენად გაახარა და მოადუნა, რომ მეტოქეს კინაღამ მატჩი შემოატრიალებინა. ჰარკლროუდმა მეორე სეტში 1:5 ჩამორჩენა ამოქაჩა და ტაიბრეიკზე 5 სეტპოინტიც ჰქონდა, მაგრამ უფროსმა უილიამსმა არ ინდომა საქმის გადამწყვეტ პარტიამდე მიყვანა და ყველაფერი აქვე მოათავა.

წარმატებული დებიუტი გამოუვიდა მარია შარაპოვას, რომელმაც ორ სეტში მოუგო მასპინძელ ემილი ლუას. თუმც ისიც ვთქვათ, რომ რუსი პრიმა ვერ იყო მთლად დამაჯერებელი. მაშა აშკარად შორსაა საუკეთესო ფორმისგან, პლუს კიდევ ეტყობა, რომ ახლად მოშუშებული მხარი ისევ აწუხებს.

„ტრავმა ბოლომდე არ მომირჩენია. ეჭვი მეპარება, გამიზეზდეს, მაგრამ 100 პროცენტითაც რომ არ არის განკურნებული, ფაქტია. ეს კი თამაშში ხელს მიშლის“ — ნამატჩევს ჟურნალისტებს გული გადაუშალა შარაპოვამ.

მეორე წრეშია ჟუსტინ ენინის შემდეგ მთავარ ფავორიტად მიჩნეული სვეტლანა კუზნეცოვაც, რომელიც ძალიან ადვილად გაუსწორდა თანამემამულე ეკატერინა ბიჩკოვას. აი, დინარა საფინა კიდევ უფრო წინ წავიდა და უკვე მესამე წრეშია — მარატის უმცროსმა დამ ქვა ქვაზე არ დატოვა ებრაელი ობზილერისგან და მხოლოდ გეიმი დაუთმო.

2004 წლის ჩემპიონ ანასტასია მისკინას კი ალბათ ერჩივნა, პარიზში სულ არ ჩასულიყო — ნახევარი წლის განმავლობაში უთამაშებელი რუსისგან გმირობებს არც არავინ ელოდა, მაგრამ ისე შერცხვენა, როგორც ეს ერთ დროს ძლიერმა რუსმა მეგან შონესისთან „მოახერხა“, მაინც ნამეტანია.

**ქახა ლომაშვილი**



მარატ საფინს ყვირილის მეტი აღარაფერი დარჩა

# პარტიზანი ასაფა

## პაუელმა ბელგრადში გამოანათა




AFP

**სპორტის** დედოფალს მეფე დაუბრუნდა. მძლეოსნობის უკაშკაშესმა ვარსკვლავმა, იამაიკელმა სპრინტერმა ასაფა პაუელმაც გამოანათა სარბენ ბილიკებზე.

მსოფლიოს უსწრაფესმა ადამიანმა და 2006 წლის საუკეთესო მძლეოსანმა სეზონის დებიუტი სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მოიწყო, არტურ ტაკაჩის მემორიალზე ირბინა და ფრიად კმაყოფილი დატოვა როგორც საკუთარი თავი, ასევე პირველ რიგში მის და მერე სხვათა სანახავად მისული 15 000 სერბი მაყურებელი.

წინა დღეს პაუელი ამბობდა, მუხლის ტრავმამ სეზონის დებიუტი კარგა ერთი თვით გადამივადა და ზუსტად არ ვიცი, რა დროში გავირბენ 100 მეტრსო. იქვე დასძენდა, 10 წამს რომ ჩამოვცდე, ამ ეტაპზე კმაყოფილი ვიქნები და ვგონებ, ხალხსაც არ დავტოვებ უკმაყოფილოსო.

ასე აგიხდეთ, როგორც მას აუხდა ვარაუდი. პაუელმა 100 მეტრი 9,97 წამში დაფარა და ბარე 0,20 წამით აჯობა უახლოეს მდევრებს. ცხადია, ამ კარიბელ ჰეპარდს გაცილებით ნაკლებ დროში შეუძლია ამ დისტანციის გარბენა, მაგრამ მანამდე ნათქვამი ნასირბილევსაც გაიმეორა, ამ ეტაპზე ამითაც კმაყოფილი ვარო.

„მშვენიერი გარემო, მშვენიერი ხალხი და მშვენიერი სტადიონია. რა ჰქვია? „პარტიზანი" ხომ? მე ნამდვილად მოხარული ვარ, რომ ამ ხალხის თვალწინ თავი არ შევირცხვინე. ახლა თანდათან ავკრეფ ფორმას და იმედი მაქვს, უკეთეს შედეგებსაც ვაჩვენებ."

აქვე ვთქვათ: აქამდე არც ერთ სერბს და არავის სერბეთში ასე სწრაფად არ ურბენია. ძირითადად გუნდური სპორტის სახეობების მოყვარულმა სერბმა მაყურებლებმაც ეს თვითნაბადი ოქრო-კაცი დიდი ტაშით გააცილეს.

9,97 სეზონის საყოველთაო რეკორდი კია და ამ შედეგზე ბარე ბევრი ფეხმარდი სპრინტერი ოცნებობს, მაგრამ ეს პაუელისთვის ჩვეული მოვლენაა. მსოფლიოს რეკორდსმენი (100 მეტრი 9,77 წამში სამჯერ აქვს გარბენილი) 26-ედ ჩამოსცდა 10-წამიან გროსმაისტერულ ზღვარს და თუ რამ ხიფათს არ გადაეყარა, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამას წლეულს ბარე 10-ჯერ კიდევ შეძლებს.

# მარათონი მთაში

## მაღლა ამსვლელები დაბლა დაქანდნენ

**ჰიმალაის** მთებში გამართულ მარათონზე თუ გსმენიათ რამე? არა, აქ არ ვგულისხმობთ რომელიმე გადარეული მთამსვლელის მარტოდმარტო, სიგიჟესთან მიახლოებულ „არბენას" და „ჩამორბენას" ვთქვათ, ევერესტზე ან ანაპურნაზე. ნამდვილ მარათონულ რბენაზე მოგახსენებთ, რომელიც ბოლო წლებში იმართება მსოფლიოს უმაღლესი მთათა მასივის ფერდობებზე.

ნეპალში დამკვიდრდა ასეთი ტრადიცია: ბოლო ხუთი წელია, რვაათასიან ბუმბერაზთა დასალაშქრად ჩანთებმოკიდებული ალპინისტები დროებით ამ ჩანთებს იხსნიან, წერაყინებს და ჟანგბადის ბალონებს კარვებში ტოვებენ და მარათონულ დისტანციაზე, ანუ 42 კილომეტრსა და 195 მეტრზე სირბილში ეჯიბრებიან ერთმანეთს. მორბიან მთამსვლელები თავდაღმართზე — სტარტი ზღვის დონიდან დაახლოებით 5300 მეტრზეა, ანუ საბაზო ბანაკების სიმაღლიდან 3400 მეტრამდე ჩამორბიან.

ასე იყო წელსაც და გარბენი მოიგო ნეპალელმა დიპაკ რაი რაიმ, ვინც 42 კილომეტრი 3:59 შედეგით ანუ თითქმის ოთხ საათში ჩამოირბინა. არანეპალელთაგან, ანუ ჩასულ ალპინისტთაგან საუკეთესო დრო ფრანგმა ანტუან ბონფიკმა აჩვენა — 4:51. მართალია, ეს შედეგები ახლოსაც ვერ მიუვლენ ნამდვილ მარათონელებს, რომლებიც 42 კილომეტრს დაახლოებით 2 საათსა და 5-15 წუთში გარბიან, მაგრამ ვაპატიოთ „მთამსვლელებს" ეს სიზანტე. ისინი დაღმა სირბილს კი არა, აღმა სიარულს უფრო არიან მიჩვეულნი.

**კოტე ყორშია**




AFP



რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№ 1 საავტომობილო ზეთი



ბერნი ეკლსტოუნმა „მაკლარენს" თითი დაუქნია

# არ გაასწრო!

## დენისის სტრატეგიას ეკლსტოუნმა არატაქტიკურად შეუტია

**რომ გვეგონა,** გასულ კვირას მონაკოში რბოლისას გუნდური ტაქტიკის გამოყენებაში ეჭვმიტანილი „მაკლარენის" მიმართ საერთაშორისო საავტომობილო ფედერაცია (FIA) თითის დაქნევითა და ვთქვათ, მილიონევროიანი ჯარიმით შემოიფარგლებოდა, ნურას უკაცრავად — „საქმე" უფრო რთულ სახეს იღებს.

შეგახსენებთ: მონაკოს საპირველფორმულო დიდი პრიზისთვის პრაქტიკულად მთელ რბოლაში ფერნანდო ალონსო ლიდერობდა, უკან კი თანამაკლარენელი ლუის ჰემილტონი მიჰყვებოდა. პირველი პიტსტოპის შემდეგ რბოლის მსვლელობაში „მაკლარენის" ხელმძღვანელობა ჩაერია და უსაფრთხოების თვალსაზრისით პილოტებს რაციით სთხოვა, ერთმანეთთან არ ებრძოლათ და ოდნავ შეენელებინათ ტემპი. მეორე საბოქსე შეჩერების შემდეგაც, როცა ჰემილტონი შეტევის მანძილზე მიუახლოვდა ჩემპიონ თანაგუნდელს, ისევ შეატყობინეს, რომ დამშვიდებულიყო.

FIA-ს ვიცე-პრეზიდენტი, იმავდროულად ფორმულა 1-ის კომერციული ბოსი ბერნი ეკლსტოუნი თვლის, რომ თუ „მაკლარენ-მერსედესს" დაუმტკიცდება გუნდური ტაქტიკის გამოყენება, ანუ „საერთაშორისო სპორტული კოდექსის" დარღვევა, ბრიტანული საჯინიბოს მიმართ მკაცრ სანქციას მიიღებენ:

„არ ვიცი, ვის როგორ ესმის გუნდური ტაქტიკა, მაგრამ ერთში დარწმუნებული ვარ — თუ რომელიმე მრბოლს უბრძანებენ, თანაგუნდელს გაასწროს, ან პირიქით, თავის პოზიციაზე დარჩეს, ეს არანაირად არ შეესატყვისება სპორტული რეგლამენტის დებულებას. თუ ბრძანება იყო, გუნდი უნდა დაისაჯოს, როგორც ერთხელ „ფერარი" დავაჯარიმეთ. მაგრამ „მაკლარენს" უზარმაზარი ბიუჯეტი აქვს და ფინანსურ სანქციას ეფექტი არ ექნება, ამდენად, უფრო არსებითი დასჯა ქულების ჩამორთმევა ან დისკვალიფიკაცია იქნება.

ნებისმიერ შემთხვევაში, ლაპარაკია გუნდის და არა პილოტების დასჯაზე — ისინი არაფერში არ არიან დამნაშავენი. რის გაკეთება შეგიძლიათ, თუ გუნდი ლიდერის გასწრებას გიკრძალავთ? უნდა დაისაჯონ ისინი, რომლებიც ამგვარ განკარგულებას იძლევიან".

„მაკლარენის" უფროსმა რონ დენისმა საკმაოდ მწვავე ფორმით მოუწოდა ფედერაციის ხელმძღვანელობას, რომ ერთმანეთში არ აურიონ გუნდური სტრატეგია და გუნდური ტაქტიკა. რონის თქმით, მან უბრალოდ, სთხოვა თავის მრბოლებს, არ გაერისკათ მონტე კარლოს ვიწრო ქუჩებში, რათა გუნდს მაქსიმალური შედეგი გაენაღდებინა.

FIA-ს წარმომადგენლებმა დაწვრილებით შეამოწმეს „მაკლარენის" ტელემეტრიული, აგრეთვე გუნდსა და მრბოლებს შორის საუბრების ჩანაწერები და უახლოეს ხანში შედეგებსაც გამოაქვეყნებენ.

ისე, ექსპერტების აზრით, ერთი დეტალი არ იძლევა იმის საფუძველს, რომ მონაკოში მომხდარი გუნდურ ტაქტიკად ჩაითვალოს. წინათ ამგვარი შემთხვევები ბოქსებიდან ბრძანების შემდეგ ტრასაზე პოზიციის შეცვლით მთავრდებოდა. ამჯერად მრბოლებმა პოზიციები შეინარჩუნეს, ხოლო ჰემილტონის მიმართ თხოვნას — „არ შეუტიო" — შესაძლოა, უამრავი ფორმალური, ტექნიკური მიზეზი ჰქონდეს.

უკანასკნელად გუნდური ტაქტიკის „საქმე" ფედერაციამ 2002 წელს განიხილა. მაშინ ავსტრიაში რბოლის ფინიშზე „ფერარის" საკომანდო პოსტიდან თხოვნის შემდეგ რუბენს ბარიკელომ დემონსტრაციულად დააგდო სიჩქარე და წინ გაუშვა მიხაელ შუმახერი. ამის გამო „სკუდერია" ერთი მილიონი დოლარით დააჯარიმეს.

**გია ახალაძე**

**P.S.** ცოტა არ იყოს, კომიკური სიტუაცია გამოვიდა ეკლსტოუნის ასეთი უსაფუძვლო გაცხარების გამო.

**FIA**-მ უკვე გუშინ საღამოს ოფიციალურად გამოაცხადა, რომ „მაკლარენის" მიმართ პრეტენზია აღარ აქვს:

„შევისწავლეთ რა გუნდსა და მრბოლებს შორის რადიოსაუბრები, აგრეთვე დამკვირვებლებისა და ტექნიკური სამსახურების მიერ წარმოდგენილი მონაცემები, იმ დასკვნამდე მივედით, რომ „მაკლარენის" ქმედებაში არანაირი დარღვევა არ ყოფილა და გამოძიების გაგრძელებას აზრი არ აქვს".

სუმო

# ჩინგიზი არა, ხაკუხო
## სუმოს მეორე ყაენიც მონღოლია



**22 წლის** მონღოლი ხაკუხო ნაციონალური იაპონური ჭიდაობის, სუმოს ისტორიაში 69-ე იოკოძუნაა. უკვე ოფიციალურად, თორემ ასე რომ იქნებოდა, ჯერ კიდევ კოკუგიკანური ბაშოს ბოლო ტურებში გაირკვა. გუშინ სუმოს ასოციაციის დირექტორთა საბჭოს სხდომის შემდეგ მარტის და მაისის დიდი ტურნირების მომგებ სეკიტორის უმაღლეს იერარქიულ საფეხურზე ასვლა აზარეს. დღეს მის გამომზრდელ სპორტულ სკოლაში ბრინჯის ღეროებისგან სპეციალური თოკი დამზადდება, რომლის ტარების უფლებაც მხოლოდ იოკოძუნებს აქვთ. ხვალ კი ამომავალი მზის ქვეყნის წმინდა ადგილად წოდებულ „მეიძი ძინგუს" ტაძარში ხაკუხო პირველად შეასრულებს იოკოძუნას დოჰიოზე გასვლის რიტუალს.

„თეთრ ფენიქსად" მონათლული მონღოლი დიდ სუმოში საოცრად სწრაფად გაშინაურდა. უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში 2004 წელს აღზევებულმა სეკიტორიმ ზუსტად ორ წელიწადში კარიერაში პირველი იმპერატორის თასი მოიპოვა. წლეულს კი სუმოს ეს უმაღლესი ჯილდო ზედიზედ მეორედ ასწია და ყველას დაუმტკიცა, რომ გაიოკოძუნებას ალალად იმსახურებდა. კოკუგიკანში ოცნების ასასრულებლად ცამეტი ქულაც ყოფნიდა, მაგრამ თხუთმეტტურა შეჯიბრი თხუთმეტი გამარჯვებით დაასრულა და მცირე სალაპარაკოც არავის დაუტოვა.

155-კილოგრამიანმა დევკაცმა აღიარება ულამაზეს იაპონელ მეულლეს საიოკოსა და ახალდაბადებულ ქალიშვილ იუნრენცო ამიუს მიუძღვნა.

ამრიგად, დიდ სუმოს უკვე ორი მოქმედი იოკოძუნა ჰყავს. ორივე მონღოლია — ასასიორიუ და ხაკუხო. მათ გარდა იაპონიაში ჩასული მოჭიდავეებისგან უმაღლესი წოდებისთვის აქამდე მხოლოდ ჰავაის კუნძულების შვილებს — აკებონოსა და მუსასიმარუს მიუღწევიათ.

**ოთარ გაღლაძელიძე**

კრივი

# ენა და მუშტი
## ვის უძვლო უჭრის და ვის ძვლიანი

**2 ივნისს** ორგანიზაციის (WBO) ვერსიით მძიმე წონის საჩემპიონო ჩხუბია ამერიკელ ჩემპიონ შენონ ბრიგსსა და რუს პრეტენდენტ სულტან იბრაგიმოვს შორის.

მძიმე წონის საკრივო სამყარო, კარგა ხანია, მას შემდეგ რაც რინგიდან ლენოქს ლუისი წავიდა, გვარიანად აწეწილია. სხვადასხვა ვერსიის საჩემპიონო ქამრებს ისეთი ხალხი ფლობს, თუნდაც ათი წლის წინ რინგს ახლოს რომ არ გააკარებდნენ. თანაც, ეს ჩემპიონები, ძირითადად პოსტსაბჭოთა სივრცისეულნი არიან — ოლეგ მასკაევი, ვლადიმირ კლიჩკო, სერგეი ლიახოვიჩი, რუსლან ჩაგაევი, ოლეგ ვალუევი. ერთადერთი, ორგანიზაციის ქამარი უპყრია ამერიკელ ბრიგსს და ახლა იბრაგიმოვი ამ ქამრის რუსეთში წაღებას ეშურება.

ისე, თავად ბრიგსმა ეს ქამარი ზემოთ ნახსენებ ბელარუს სერგეი ლიახოვიჩს წაართვა, როდესაც ნოკაუტით მოუგო. ბრიგსს რინგზე 53 ორთაბრძოლა აქვს ჩატარებული, რომელთაგან 48 მოიგო და აქედან 42 ნოკაუტით. იბრაგიმოვის მონაგარი გაცილებით მოკრძალებულია — 21 ორთაბრძოლაში 20 მოგება, აქედან 17 ნოკაუტით.

ადრე, როდესაც ტიტულებს ერთმანეთს დიდი მძიმეწონოსნები ეცილებოდნენ, მათ წინასამატჩო, კრივისთვის დამახასიათებელ ბაქი-ბუქსაც სხვა ფასი ჰქონდა. ახლა კი ეს, მხოლოდ ენის ჭარტალია და მეტი არაფერი — იყბედებენ, თავიანთ სიძლიერეზე ილაპარაკებენ, მერე კი რინგზე გავლენ და რაღაც უხეირო სპექტაკლს დადგამენ.

ახლაც, სავარაუდოდ, რაღაც ასეთი გველის — ამ ჩემპიონ-პრეტენდენტებს მუშტზე მეტად ენის უაზროდ ტრიალი ეხერხებათ.

ასე, მაგალითად: იბრაგიმოვმა, მე მაგ ბრიგსის სულაც არ მეშინია, ნამდვილ ბრძოლას მოვუწყობ და დავანოკაუტებო, დაიქადნა. „ლიახოვიჩი ბრიგსთან ჩხუბის წინ შეშინებული იყო და იმიტომ დამარცხდა. როდესაც მე ავალ რინგზე, მე ვიჩხუბებ. ბრიგსი ბევრს ლაპარაკობს და ეს არ მომწონს. როდესაც რამეს მეკითხებიან, მე ვპასუხობ, მაგრამ ბრიგსისგან განსხვავებით, არ მიყვარს სხვა მოკრივეებზე ლაპარაკი. ბრიგსს უყვარს საკუთარი თავის მოსმენა და ლაპარაკს რომ დაიწყებს, ველარ ჩერდება ხოლმე, მაგრამ ჩემთან ჩხუბის შემდეგ მას სათქმელი აღარაფერი ექნება — ბრძანა სულტანმა და დაამატა — მე შევეცდები, ნებისმიერ ფასად მოვიპოვო გამარჯვება. თუ ამისთვის ნოკაუტი გახდება საჭირო, ეს ბრწყინვალე იქნება. დიდებულ ფორმაში ვარ და მზად ვარ მის დასამარცხებლად".

ამერიკელმა რუსის ნათქვამი, ბუნებრივია, უპასუხოდ არ დატოვა. „იბრაგიმოვის შტაბმა ხმები დაყარა, თითქოს მე მშიშარა და ლაჩარი ვიყო, თითქოს ადრე უარი ვთქვი მასთან ჩხუბზე, იმიტომ, რომ შემეშინდა. აბა, შეხედეთ — მას 20 ჩხუბი აქვს ჩატარებული, მე კი 50-ზე მეტი და აქედან 29 პირველივე რაუნდში ნოკაუტით დავასრულე. მე მიჩხუბია ლუისთან, ფორმენთან, ბოტასთან. ნოკაუტით მოვუგე ლიახოვიჩს. აბა, მეტი რაღა ვთქვა. აქ სალაპარაკოც აღარაფერია" — აი, ასეთები თქვა ბრიგსმა და ისღა დაგვრჩენია, ორიოდე დღეც მოვითმინოთ და რინგზე ვნახოთ, ვინ რისი მაქნისია და ენაზე მეტად მუშტი რომელს უფრო უჭრის.

ველორბოლა

## 90-ე ჯირო დიტალია. 12 მაისი — 3 ივნისი

ძონკოლანის ჯოჯოხეთური მთის ბოლოს ლეონარდო პიეპოლიმ პირველობა ჯილბერტო სიმონის დაუთმო



# სიმონის კედელზე დი ლუკაც გავიდა

**საიუბილეო**, 90-ე „ჯირო დიტალიაზე" ალბათ ყველაფერი უკვე გარკვეულია. ყველაფერში ვარდისფერი მაისურა, ანუ საბოლოო გამარჯვებული იგულისხმება და გუშინ, ძონკოლანის 1730-მეტრიანი მთის ჯოჯოხეთურ აღმართში დანილო დი ლუკამ დაამტკიცა, რომ ტყუილად არ ატარებს ამ ვარდისფერ მაისურას.

კოშმარული, კედელივით 10 კილომეტრი, რომლის ავლის დროსაც სიმაღლეში, ერთბაშად 1200 მეტრით მაღლა ადიხარ; მარტო ამ ათკილომეტრიანი გზის აქეთ-იქით ფერდობებზე შეფენილი ასიათასამდე მაყურებელი, რომელთაგან ათასობით უშუალოდ გზაზეა გამოფენილი და ისედაც ვიწრო სავალს მთლად დერეფანივით ხდის.

ეს ათი კილომეტრი ბოლო შანსი იყო მათთვის, ვისაც გენერალურ კლასიფიკაციაში დი ლუკას გადასწრება სურდა და პირველ რიგში „ჯიროს" ორჯერ მომგები ჯილბერტო სიმონისთვის, რომელმაც 2003 წელს თავისი მეორე ტრიუმფი სწორედ ძონკოლანის აღმართში გამოჭედა.

მას შემდეგ ეს მთა „ჯიროს" პროგრამაში აღარც ყოფილა, ახლა შეიტანეს და სიმონიმაც შეუტია, რაღაც მონაკვეთში მოწყდა კიდეც იმ ჯგუფს, რომელშიც მისი თანაგუნდელი ლეონარდო პიეპოლი, დი ლუკა, ენდი შლეკი და დამიანო კუნეგო შედიოდნენ.

ამ დროს სხვა, მოწინავე ჯგუფის წევრები ჯერ კიდევ წინ იყვნენ, მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევდა და ეგეც არ იყოს, მათი წინ ყოფნაც, მხოლოდ დროის ამბავი იყო.

სიმონი, თუ ამ აღმართში ასვლას გაქცევა ჰქვია, გაიქცა და რაღაც მომენტში ეულად დარჩენილი დი ლუკა თითქოს გატყდა. მაგრამ ოთხი წლის წინანდელივით, ვედარც სიმონიმ ააცეკვა ველოსიპედი — ცოტა ხანში მას პიეპოლი და შლეკი წამოეწვინენ და დი ლუკამაც დაიჭირა ტემპი.

მერე პიეპოლიმ მოინდომა თავისი კაპიტანისთვის გზის გაკაფვა, მაგრამ ამასობაში დი ლუკა კუნეგოს დააჯდა კუდზე და შვებაც იგრძნო.

„სონი დიუვალის" წევრებს ვარდისფერ მაისურაზე შეტევა არ გამოუვიდათ და ბოლოს იმით დაკმაყოფილდნენ, რომ უკანასკნელ კილომეტრზე შლეკს აჯობეს და ეტაპის გამარჯვებულის ვინაობა ერთმანეთში გასარკვევი გახადეს — პიეპოლიმ კაპიტანს დაუთმო, ოთხი წლის შემდეგ ძონკოლანის მთაზე ისევ სიმონიმ იპირველა, მაგრამ ნახევარ წუთში ფინიშს დი ლუკამაც უწია და ყველაფერი ნათელი გახდა.

არა, წინ შაბათის ინდივიდუალური რბოლა კი არის, მაგრამ „ლიქუიგასის" ლიდერი მეორე ადგილზე მყოფ შლეკს 2 წუთსა და 24 წამს უგებს და ძნელი წარმოსადგენია, ამხელა უპირატესობა ქარსა და მეტოქეებს გაატანოს.

### მე-17 ეტაპი. ლიენცი-ძონკოლანის მთა. 142 კმ

| | |
|---|---|
| 1. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი") | 3 სთ 51 წთ 52 წმ |
| 2. ლეონარდო პიეპოლი (იტალია, „სონი დიუვალი") | იგივე დრო |
| 3. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +7 წმ |
| 4. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | +31წმ |
| 5. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე") | +37წმ |

### საერთო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | 77 სთ 35 წთ 35 წმ |
| 2. ენდი შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +2 წთ 24 წმ |
| 3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სონი დიუვალი") | +2 წთ 28 წმ |
| 4. დამიანო კუნეგო (იტალია, „ლამპრე") | +3 წთ 29 წმ |
| 5. ედი მაცოლენი (იტალია, „ასტანა") | +3 წთ 46 წმ |




## მსაჯი გაისროლა

ასეც ხდება: როლან გაროსზე ესპანელი ხუან კარლოს ფერერო მსაჯს შეასკდა. ფერერო ამერიკელ ამერ დელიჩს ეთამაშებოდა საფრანგეთის ღია პირველობის პირველი რაუნდის მატჩში.



## ყოჩაღ, ბრუნო!

42 წლის ფრანგი ფრანკ ბრუნო ჩრდილოეთ პოლუსზე ჩამუხლულა. მან მარტომ გასნია 410-კილომეტრიანი ლაშქრობა გრენლანდიის გადაელით და საერთოდ, პირველი ცალფეხა კაცია დედამინაზე, ეს გზა რომ გაიარა ყინულებში.



## უკვე დაიწყო

წელიწადზე ცოტა მეტი დარჩა პეკინის ოლიმპიადის გახსნამდე. ფრანგი დოკუმენტალისტების ჯგუფს კი, პატრის ლეკონტის რეჟისორობით, უკვე დაუწყია ფილმის გადაღება ამ ოლიმპიური თამაშების შესახებ.




## ლუდის მოგზაური

იაპონელი ზღვათმოარული კენიჩი ჰორიე ფუკუიამას ნავსადგურში თავის ახალ იახტას „მერმეიდ II"-ს სინჯავს. 68 წლის კაცი მალე წყნარ ოკეანეში შეცურავს თავისი კატამარანით და 6 ათას კილომეტრიან მარტოხელა ზღვაოსნობას გასწევს. „მერმეიდ II" ლუდის ქილების ალუმინისგანაა ჩამოსხმული.

## ისვენებს



ფრანგი მსოფლიო ჩემპიონი ცურვაში ლაურ მანადუ ახლა ტურინის „ლა პრესეს" კლუბის წევრია, თუმცა უქმობა უწევს. ჩემპიონმა მარცხენა ფეხი მოიტეხა და უახლოეს სამ შეჯიბრს გამოტოვებს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო ხვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლარიშვილი, ლია ბეჟელავა, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge